ახალგაზრდა
პედაგოგთა კავშირი

პროფესიული განათლების შესახებ არსებული დამოკიდებულებების კვლევა (გურიის რეგიონის მაგალითი)

ფოკუს-ჯგუფების კვლევის ანგარიში

2018

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

კვლევა განხორციელდა პროექტის „სამოქალაქო ჩართულობა პოზიტიური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი:	**მარინა თოფურია**
ანგარიშზე მუშაობდნენ:	**იაგო კაჭკაჭიშვილი** (კვლევის ხელმძღვანელი) **ხატია ჭანიშვილი**
რედაქტორი:	**ნათია მენაბდე**

მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის **მანანა ჯინჭარაძეს**, განათლების საკითხების სპეციალისტს

სარჩევი

პრობლემის აღწერა	5
კვლევის მეთოდოლოგია	9
კვლევის ძირითადი მიგნებები	10
ძირითადი რეკომენდაციები	12
თავი 1. ინფორმაციის წყაროები პროფესიული სასწავლებლის („ჰორიზონტის“) შესახებ	16
თავი 2. რამდენად პრესტიჟულია დღესდღეობით პროფესიული განათლების მიღება?	18
თავი 3. პრობლემები/გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული განათლების მიღებასთან	23
თავი 4. რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს ინტერვენციები პროფესიული განათლების სისტემაში/პოლიტიკაში?	34
ბიბლიოგრაფია	40
Research on attitudes towards vocational education (Short Review)	42
Main Recommendations	45

პროგლემის აღწერა

ზოგადი განმარტებით, პროფესიული განათლება არის სახელობო განათლება, რომელიც გულისხმობს გარკვეული კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას ამა თუ იმ სფეროში საქმიანობისთვის. ისევე, როგორც ზოგადი განათლება, პროფესიული განათლებაც ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე, მაგრამ მისი სპეციფიკური მიზანი გულისხმობს სტუდენტთა ადაპტაციას არჩეული სფეროს თავისებურებებთან, რაც ხორციელდება პიროვნების ინტერესებისა და სხვადასხვა უნარის რეალიზების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

პროფესიული განათლება ზოგადისგან განსხვავდება მისაღები ცოდნის, შესათვისებელი უნარ-ჩვევების მიზანმიმართულობით, პიროვნების იმ თვისებებისა და მიდრეკილებების ჩამოყალიბებითა და სრულყოფით, რომლებიც მიესადაგება არჩეულ პროფესიასა და სპეციალობას.

პროფესიული განათლების სისტემა უზრუნველყოფს ეკონომიკური თვალსაზრისით აქტიური მოსახლეობის კვალიფიკაციის სტრუქტურას, ხელს უწყობს მის დასაქმებას და, აქედან გამომდინარე, ქმნის შრომის ბაზარს, უშუალო ზემოქმედებას ახდენს სამეურნეო პროცესებზე ცალკეულ ქვეყანაში.

ამ ტიპის განათლება მსოფლიოში აღიარებულია სოციალური სამართლიანობის, ინკლუზიისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საკვანძო რგოლად.

პროფესიული სასწავლებელი არის სტუდენტისათვის ერთ-ერთი შესაძლებლობა, მიიღოს პრაქტიკული ცოდნა. როგორც წესი, ის სტუდენტებს სთავაზობს კარიერაზე ორიენტირებული პროგრამების შედარებით მოკლე დროში გავლას, რაც მათ შემდგომ ეტაპზე დასაქმებაში ეხმარება. პროფესიული სასწავლებლები ხელს უწყობს სტუდენტებს, აიმაღლონ პროფესიული ცოდნის დონე, ჩამოუყალიბდეთ ტექნიკური უნარ-ჩვევები. ყოველივე ამის შედეგად ეს ადამიანები სამომავლოდ კომპეტენტურ სამუშაო ძალას წარმოადგენენ.

საქართველოში კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ 2010 წელს დამტკიცდა. გარდა ამისა, არსებობს საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები),[1] რომელიც პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას საქართველოს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში სტრატეგიის ზოგად და კონკრეტულ მიზნებში გამოტანილია ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა ინდივიდუალურ და ეროვნულ დონეზე ქვეყნის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

1 საქართველოს მთავრობა (2013). პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)

- პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოების ყველა ფენისათვის, სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის;
- მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

ამ მიზნების გათვალისწინებით, საინტერესოა უკვე ჩატარებული კვლევის შედეგები. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის[2] „საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი შრომის ბაზარზე“ ანგარიშში ვეცნობით შემდეგს: გამოკითხული რესპონდენტების 57,4% ამბობს, რომ მისი სამუშაო არ უკავშირდება მიღებულ სპეციალობას. ამავე კვლევაში ნათქვამია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის შრომის ანაზღაურება თვეში 201-500 ლარის ფარგლებშია, რესპონდენტთა მნიშვნელოვან რაოდენობას აქვს ხელფასი 200 ლარამდე და, აგრეთვე, 501-1000 ლარის ფარგლებში.

კვლევითი კომპანია ACT-ის მიერ 2015 წელს გაეროს განვითარების ფონდისთვის (UNDP) მომზადებული კვლევის „დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ“[3] ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოკითხული დამსაქმებლების 88%-ს არ დაუსაქმებია პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული, ხოლო 94%-ს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული არ ჰყოლია პრაქტიკაზე ან სტაჟირებაზე. ასევე, „პროფესიულ სასწავლებლებთან ურთიერთობები საკმაოდ იშვიათია და არ არსებობს აღნიშნული ურთიერთობების კონკრეტული სახეები, რომლებიც სხვებზე პოპულარული იქნებოდა. თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას ისევ საწარმოო პრაქტიკა წარმოადგენს, რომელსაც გამოკითხულთა 7% მიმართავს. შესაბამის სასწავლებლებთან კი მემორანდუმი გაფორმებული აქვს ყოველი 20 გამოკითხულიდან 1-ს. პროფესიული სასწავლებლების პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის შემთხვევები უკიდურესად იშვიათია და მისი დასახელების მაჩვენებელი 3%-ზე მეტს არ აღემატება“.[4]

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2017 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი 1,116.2 მილიარდ ლარს შეადგენდა; ამ თანხიდან

2 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი (2014). საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი შრომის ბაზარზე. კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი. თბილისი

3 ACT UNDP-ისთვის (2015) დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ. თბილისი

4 აქვე, გვ.19

კი პროფესიულ განათლებაზე 30 მილიონამდე ლარი იყო გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ ყოველი წლის ბიუჯეტში პროფესიული განათლება პრიორიტეტულ საკითხებში ხვდება და შეინიშნება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მატებაც (პროფესიული განათლების დაფინასება 2018 წლის ბიუჯეტში შეადგენს 40.8 მილიონ ლარს, რაც 10 მილიონი ლარით მეტია წინა წელთან შედარებით). თანხების ზრდის პარალელურად, საინტერესოა სტატისტიკური ინფორმაციაც: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემების მიხედვით,[5] ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს სულ 34 პროფესიული სასწავლებელი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა იკლებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით,[6] მაშინ, როცა 2015 წელს სტუდენტების რაოდენობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეადგენდა 16773-ს, 2016 წელს ეს მონაცემი შემცირდა 15639-მდე, ხოლო 2017 წელს - 15632-მდე. კიდევ უფრო მცირეა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც დაასრულეს სწავლა პროფესიულ სასწავლებლებში. მაგალითად, 2017 წელს 15632 ჩარიცხული სტუდენტიდან კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენდა 9774–ს, ანუ 62,5%-ს, მაშინ, როცა 2015 წელს იგივე მონაცემი შეადგენდა 69,9%-ს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მასშტაბით, 2017 წლის მონაცემებით, 34 პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებს. გურიის რეგიონში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელია - კოლეჯი „ჰორიზონტი“, რომელიც დაფუძნდა 2011 წელს, როგორც სსიპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“, ხოლო 2012 წლის აპრილში დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - კოლეჯი „ჰორიზონტი“ და ის საგანმანათლებლო საქმიანობას დღეს სწორედ ამ სამართლებრივი ფორმის ფარგლებში ახორციელებს. როგორც კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში[7] ვკითხულობთ, „კოლეჯში, ყოველწლიურად, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე 500-მდე სტუდენტი სწავლობს. კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული რეგიონის სხვადასხვა სფეროს დამსაქმებლებთან. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამების შემუშავების პროცესში. დამსაქმებლები საწარმოო პრაქტიკის პერიოდში უზრუნველყოფენ სტუდენტებს პრაქტიკით თავიანთ საწარმოებსა და სხვადასხვა ობიექტში, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს“. [8]

პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტში“ 5 სასწავლო მიმართულებაა: ხელოვნების, ტურიზმის, აგრარული, ბიზნეს-ადმინისტრირებისა და ინჟინერიის მიმართულებები, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ასეთია:

- მზარეული;
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი;
- გიდი;
- ელექტრიკოსი;

---

5 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხოვნობა, რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

6 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტუდენტების რიცხოვნობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

7 პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ (2015), სტრატეგიული განვითარების გეგმა

8 აქვე, გვ.2

- სავალი ნაწილის ტექნიკოსი;
- ტრაქტორისტ-მემანქანე;
- მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი;
- მეტყევე;
- ბუღალტერი;
- სარესტორნო საქმისმწარმოებელი;
- სასტუმრო საქმისმწარმოებელი;
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- სტილისტი;
- შემდუღებელი.

2016 წლის პროფესიული განათლების სტატისტიკურ ბიულეტენში[9] აღნიშნულია, რომ ამ წელს კურსდამთავრებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა ჰყავდა შემდეგ სამ სასწავლებელს: საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ (473), პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ (428) და საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ (397). აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, 2016 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობის მიხედვით, კოლეჯი „ჰორიზონტი“ მე-8 პოზიციას იკავებდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კოლეჯი ერთ-ერთი მოთხოვნადი სასწავლებელია. შესაბამისად, საინტერესო იქნება იმ პრობლემების ანალიზი, რომლებიც კვლევის ფარგლებში კოლეჯის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა.

9 პროფესიული განათლების სტატისტიკური ბიულეტენი (2016)

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა გურიის რეგიონში პროფესიული სასწავლებლებისა და პროფესიული განათლების შესახებ მოსახლეობის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის, აგრეთვე, გურიის რეგიონის სხვადასხვა ინსტიტუტის (საჯარო სკოლა, პროფესიული კოლეჯი, მუნიციპალური სახელისუფლო სტრუქტურები) წარმომადგენლების დამოკიდებულებებისა და განწყობის კვლევა.

ჩატარდა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევა ფოკუს-ჯგუფების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას გვაძლევს, პრობლემა შესწავლილ იქნეს სამიზნე ჯგუფის მონაწილეებთან ჯგუფური დისკუსიის საფუძველზე. კვლევის ინსტრუმენტი იყო არასტრუქტურირებული გზამკვლევი, რომელიც შედგებოდა ღია შეკითხვებისგან.

სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 16 შეხვედრა (ფოკუს-ჯგუფი) შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- ✓ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების VIII-IX კლასების მოსწავლეები;
- ✓ გურიის რეგიონის სოფლების საჯარო სკოლების VIII-IX კლასების მოსწავლეები;
- ✓ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების X-XI და XII კლასების მოსწავლეები;
- ✓ გურიის რეგიონის სოფლების საჯარო სკოლების X-XI და XII კლასების მოსწავლეები;
- ✓ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების პედაგოგები;
- ✓ გურიის რეგიონის სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგები;
- ✓ გურიის რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეთა მშობლები;
- ✓ პროფესიული კოლეჯის სტუდენტები (მიმართულებების მიხედვით);
- ✓ პროფესიული კოლეჯის პედაგოგები;
- ✓ პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები;
- ✓ კერძო ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები;
- ✓ გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობისა და სოციალური დაცვის სამსახურისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების წარმომადგენლები.

ფოკუს-ჯგუფებისთვის შემუშავდა სადისკუსიო გეგმა (guide-line). გეგმა მოიცავდა იმ თემებს, რომლებზედაც უნდა წარმართულიყო დისკუსიები. თითოეული ფოკუს-ჯგუფი გრძელდებოდა, საშუალოდ, 1,5 საათს. რესპონდენტები შერჩეულ იქნა მათთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე.

ჩაიწერა ფოკუს-ჯგუფების აუდიოვერსია, რის საფუძველზედაც მომზადდა ტრანსკრიპტები. შემდგომ საფეხურზე განხორციელდა ტრანსკრიპტების ანალიზი ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: დაჯგუფება, კატეგორიზაცია (კოდების შემოტანა), მოპოვებული ახალი ცოდნის აღწერა და კვლევის შედეგების თეორიული მოდელის აგება.

კვლევის ძირითადი მიგნებები

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პროფესიული სასწავლებლის („ჰორიზონტის“) შესახებ ინფორმაცია, მეტწილად, ვრცელდება არაფორმალურად. სტატუს-კვოს გათვალისწინებით, ყველაზე კარგ რეკლამას სასწავლებლისთვის წარმოადგენს იმ ადამიანების გამოცდილება და შეფასებები, რომლებიც სწავლობდნენ „ჰორიზონტში“. სწორედ ისინი ქმნიან მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ძალას კოლეჯისთვის და შეუძლიათ, დააინტერესონ სხვა ადამიანებიც თავიანთი ახლობლების წრეში.

2. პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაცია ცდილობს, გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების ფორმალური გზები, მათ შორის: სატელევიზო რეკლამა (ადგილობრივი ტელევიზიით), დაბეჭდილი ბუკლეტები და ფლაერები; იმართება ღია კარის დღეებიც დაინტერესებული პირებისთვის. „ჰორიზონტის“ ადმინისტრაცია, პედაგოგები და სტუდენტები პროპაგანდას უწევენ სასწავლებელს სხვადასხვა საჯარო სივრცეში.

3. კოლეჯ „ჰორიზონტის“ შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სკოლებშიც; ეს განპირობებულია არა იმდენად პედაგოგების, დამრიგებლების, დირექციისა და რესურსცენტრების წარმომადგენელთა აქტიურობით, არამედ ახალი სასწავლო კურსის დამატებით - მის ფარგლებში მოსწავლეებს შეუძლიათ, მიიღონ ინფორმაცია იმ პროფესიების შესახებ, რომლებსაც „ჰორიზონტში“ ასწავლიან.

4. პროფესიული კოლეჯის პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების განწყობა პოზიტიურია - ისინი მიიჩნევენ, რომ პროფესიული განათლება დღეს პოპულარულია, რასაც, მათი აზრით, რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, გარე (საწარმოო) პრაქტიკის კომპონენტის არსებობა, თანამშრომლობა ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან, მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური პედაგოგები და სხვ.

5. მეორე მხრივ, საჯარო სკოლების მოსწავლეების, სკოლის პედაგოგებისა და თავად პროფესიული კოლეჯის („ჰორიზონტის“) სტუდენტების აზრით, პროფესიული განათლება საზოგადოებაში პოპულარულობით არ სარგებლობს, რასაც ხელს უწყობს რამდენიმე ფაქტორი: ა) წარსული (საბჭოთა) გამოცდილების ინერცია, როცა მიიჩნეოდა, რომ კოლეჯში მხოლოდ წარუმატებელი ახალგაზრდები აგრძელებდნენ სწავლას და ასეა ახლაც: პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას,

უმეტესად, მხოლოდ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს ურჩევენ; ბ) საზოგადოების, განსაკუთრებით პირველადი ჯგუფების (ოჯახი, ახლო ნათესაობა და სხვ.) მხრიდან დღემდე აუცილებელი მოთხოვნას/დაკვეთას წარმოადგენს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ქონა; ეს უკანასკნელი ლეგიტიმური სოციალიზაციის აუცილებელი პირობაა; გ) სკოლის პედაგოგებისა და მშობლებისთვის პროფესიული განათლება მეორეხარისხოვანია და წარმოადგენს დასაქმების მხოლოდ დამატებით (და არა ძირითად) შესაძლებლობას.

6. გამოიკვეთა პრობლემები/გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული განათლების მიღებასთან და კოლეჯ „ჰორიზონტის“ ფუნქციონირებასთან:

   - ძალიან დაბალია საბაზისო ცოდნის დონე (იგულისხმება საშუალო განათლების საფუძველზე მიღებული ცოდნა) იმ სტუდენტებისა, რომლებიც აბარებენ პროფესიულ სასწავლებელ „ჰორიზონტში“; შესაბამისად, მათთვის რთულია სხვადასხვა სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის დაძლევა. პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები დაუცველები არიან შრომით ბაზარზე: მათი ანაზღაურება, მეტწილად, ძალიან დაბალია; მეტიც, ხშირად ისინი წარმოადგენენ უფასო მუშახელს, რადგან დამსაქმებელი ორგანიზაციების მესვეურები ცდილობენ, გაურკვეველი ვადით გამოიყენონ ისინი, როგორც სტაჟიორები.

   - მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა მასწავლებელთა შრომითი უფლებების დაუცველობა. პროფესიული სასწავლებლის პედაგოგებს არ აქვთ მასწავლებლის სტატუსი; შესაბამისად, მათი შრომითი ხელშეკრულება ყოველწლიურად ემთხვევა სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობას; მათ არ აქვთ კარიერულ სქემაში ჩართვის და შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების გზით ინსტიტუციური ზრდის შესაძლებლობა. ეს უარყოფითად აისახება პედაგოგთა მოტივაციასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე.

   - პროფესიული განათლების კოლეჯებს არ გააჩნიათ საშუალო განათლების უზრუნველყოფის კომპონენტი. ის მოსწავლეები, რომლებიც IX კლასის დასრულების შემდეგ მიდიან კოლეჯებში, ვერ იღებენ ზოგად განათლებას და შესაბამის ატესტატს. ეს კი მათ ართმევს შანსს, რომ მომავალში უფრო მაღალი დონის (უმაღლესი) განათლების მიღებაზე იფიქრონ.

   - პროფესიული კოლეჯის პედაგოგები მიიჩნევენ, რომ ე.წ. „მოდულურ“ სწავლებაზე გადასვლა კიდევ უფრო მეტად ზღუდავს შრომის ბაზარზე პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთა „შესვლის“ შესაძლებლობებს, რამდენადაც დღესდღეობით, ვაკანსიების თვალსაზრისით, არ არსებობს იმის ფუფუნება, რომ დასაქმდნენ ძალზე დავიწროებული სპეციალობის მქონე ადამიანები. სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაცია უნდა იყოს მოქნილი იმისათვის, რომ ისინი მოერგონ სხვადასხვა მოთხოვნას და, შესაბამისად, გაზარდონ დასაქმების შანსი.

   - პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები დაუცველები არიან შრომის ბაზარზე, რადგან არ არსებობს დამსაქმებლისთვის იმის ვალდებულება, რომ სამსახურში აიყვანოს მხოლოდ პროფესიული დიპლომის მქონე პირი. სამსახურში აყვანის პრაქტიკაში მონაწილეობს, აგრეთვე, ლობისტური და ნეპოტისტური კავშირები, რაც კიდევ უფრო მეტად დაუცველს ხდის კურსდამთავრებულებს.

- პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტში“ არასაკმარისი ყურადღება ექცევა: ა) ახალი სპეციალობების დანერგვას, რომლებიც, ერთი მხრივ, გურიის რეგიონის საჭიროებებს უკავშირდება, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს; ბ) უცხო ენების სწავლებას, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის შრომის ბაზარზე.

7. ბიზნესმენები მიიჩნევენ, რომ პროფესიული სასწავლებელი „ჰორიზონტი“ (და ასეა საქართველოს პროფესიული სასწავლებლების უმეტესობაშიც) ვერ ამზადებს პროფესიულ კადრებს. ამის მიზეზებად სახელდება:
   - პროფესიული სასწავლებლის პედაგოგების არაკვალიფიციურობა და მოტივაციის ნაკლებობა, განაახლონ ცოდნა ახალი მიღწევების საფუძველზე;
   - პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების მწირი ინტელექტუალური რესურსი და უნარ-ჩვევები;
   - სახელმწიფოსა და საერთაშორისო დონორების მიერ პროფესიული განათლებისთვის გამოყოფილი სოლიდური ფინანსური რესურსების არარაციონალური გადანაწილება: ისეთი სასწავლო პროგრამების მომზადება, რომელთა დაძლევა მოსწავლეთა არსებულ კონტინგენტს არ შეუძლია; ორიენტირება პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაოდენობაზე და არა ხარისხზე და ა.შ.
   - პრაქტიკის კომპონენტის არასაკმარისი ხვედრითი წილი სასწავლო პროგრამებში.

8. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯში სწავლა არის უფასო, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები მიიჩნევენ, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი არამოტივირებულია, ისინი არ ესწრებიან ლექციებს და პროფესიულ სასწავლებელს იყენებენ კომპიუტერით და ინტერნეტით სარგებლობისთვის. მათი ზერელე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მყარდება პროფესიული განათლების შესახებ არსებული ნეგატიური სტიგმა, რომ სასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს სათანადო დისციპლინის დაცვას და კვალიფიციური ცოდნის შეძენას.

9. გურიის რეგიონში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელია („ჰორიზონტი“) ოზურგეთში, რაც დანარჩენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს უზღუდავს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას.

10. პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტში“ გარემო არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რის გამოც შშმ პირები ვერ ირჩევენ პროფესიულ განათლებას.

ძირითადი რეკომენდაციები

1. სკოლის პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის პროფესიული სასწავლებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია, ჩატარდეს შემდეგი ტიპის აქტივობები:

- სფეროს ექსპერტებმა უნდა დაგეგმონ შეხვედრები და პრეზენტაციები პროფესიული განათლების მნიშვნელობის, პერსპექტივებისა და უპირატესობების შესახებ.
- პროფესიულმა სასწავლებელმა სწავლის დაწყებამდე სკოლებისთვის უნდა გამართოს ღია კარის დღე, რომელზედაც დეტალურად მიაწოდებს დამსწრეებს მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- დაინტერესებული მოსწავლეებისთვის პროფესიულმა სასწავლებელმა ორგანიზება უნდა გაუწიოს სასწავლო კვირეულების მოწყობას სხვადასხვა სასწავლო მიმართულების მიხედვით, რომელთა ფარგლებშიც ჩატარდება შეხვედრები წარმატებულ კურსდამთავრებულებთან, პედაგოგებთან, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან და სხვ.

2. მნიშვნელოვანი იქნება ახალგაზრდებში ბიზნეს-პრაქტიკის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით სკოლისა და პროფესიული სასწავლებლების ერთიანი და კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბება, რადგან ისინი თანამშრომლობითა და საერთო სტრატეგიის შემუშავებით შეძლებენ მოსწავლეთა დაინტერესებას.

3. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საჭიროა, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში, შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან შეთანხმების საფუძველზე, გამოიყოს ტრანსპორტი, რომლითაც პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები უფასოდ შეძლებენ მგზავრობას.

4. პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა დასწრებისა და სხვა დისციპლინური საკითხების კონტროლი; მოხდეს უკვე არსებული შინაგანაწესის მოდიფიცირება ან შეიქმნას ახალი შინაგანაწესი, რომელიც დაადგენს გარკვეულ ბარიერებს არსებული წესების დარღვევის შემთხვევაში.

5. პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროგრამებმა უნდა უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს: აქცენტი დასვას ისეთ პროფესიებზე, რომლებზედაც რეგიონში მოთხოვნა დიდია, თუმცა არ არსებობს შესაბამისი სასწავლო პროგრამები (ასეთია, მაგალითად, ვეტერინარის, ე.წ. სპეციალური ტექნიკის ოპერატორის და სხვა პროფესიები). ამასთან, კვლევების საფუძველზე უნდა გამოვლინდეს შრომის ბაზარზე ამა თუ იმ პროფესიაზე არსებული მოთხოვნების ცვლილება.

6. უნდა გაუმჯობესდეს კოლეჯში არსებული პროფესიების, განსაკუთრებით მოთხოვნადი პროფესიების (ბუღალტერია, ჭრა-კერვა, მზარეულობა და სხვ.), სწავლების ხარისხი, რათა კოლეჯმა მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები შრომის ბაზრისთვის. ეს სხვადასხვა გზით უნდა მოხდეს: ა) სასწავლო კურსების სირთულის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს; ბ) სასწავლო მასალა, რომელიც უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანს წარმოადგენს, უნდა იყოს ადაპტირებული; გ) პედაგოგებმა უნდა გაიარონ ინტენსიური გადამზადება უფრო მეტად საგნობრივი (შინაარსობრივი) თვალსაზრისით, ვიდრე სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით და ა.შ.

7. მნიშვნელოვანია უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მიმართულებებისა და პროგრამების გადახედვა აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით. მიზანშეწონილია გარკვეული სპეციალობების სწავლება პროფესიულ სასწავლებლებში უმაღლესი სასწავლებლების ნაცვლად, რაც გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და მოთხოვნას მასზე.

8. პროფესიული კოლეჯის პედაგოგებს უნდა მიენიჭოთ მასწავლებლის სტატუსი, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას: ა) ჩაერთონ კარიერული განვითარების სქემაში; ბ) სერტიფიცირების გზით აიმაღლონ კატეგორია; გ) მათი შრომითი უფლება გამყარდეს უფრო გრძელვადიანი ხელშეკრულებით, რომელიც აღარ დამეთხვევა ამა თუ იმ კურსის ხანგრძლივობას; დ) ისარგებლონ დასაქმებული პედგოგის სხვადასხვა ბენეფიტით (მაგალითად, შვებულებით და სხვ.).

9. პროფესიულ კოლეჯს უნდა დაემატოს სრული საშუალო განათლების უზრუნველყოფის კომპონენტი იმათთვის, ვინც კოლეჯში ცხრა კლასის განათლებით შედის. ეს კოლეჯის კურსდამთავრებულებს მისცემს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

10. გამომდინარე იქიდან, რომ „მოდულური“ სწავლება უკვე რამდენი წელია, დამკვიდრებული და აპრობირებულია, კოლეჯის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისთვის უნდა ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრა ე.წ. „მოდულური“ სწავლების მიზანშეწონილობისა და მნიშვნელობის შესახებ, რათა მათ ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია, თუ რა დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია აღნიშნულ მიდგომას.

11. დამსაქმებლებისთვის უნდა გაჩნდეს ვალდებულება, რომ მიიღონ სერტიფიცირებული კადრი, რომელსაც აქვს პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი/სერტიფიკატი. პირველ რიგში, ეს უნდა შეეხოს სახელმწიფო შესყიდვებს.

12. აუცილებელია უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე გადასალახავი ბარიერის, ანუ მინიმალური კომპეტენციის ზღვრის, აწევა. ეს გაზრდის მოთხოვნას პროფესიულ სასწავლებლებზე, რამდენადაც გამოთავისუფლდება ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რაც გაზრდის პროფესიული სასწავლებლების პოტენციურ კონტინგენტს და, შესაბამისად, კონკურენციას. ეს კი დადებითად აისახება მიღებული კადრის ხარისხზე. ამასთან, ასეთი ინტერვენცია მოახდენს საქართველოში არსებული დიპლომის კულტის მავნე გავლენის პრევენციას.

13. პროფესიულ სასწავლებლებს უნდა მიეცეს კომერციული საქმიანობის წარმართვის უფლება; კერძოდ, მათ უნდა შეეძლოთ, ერთი მხრივ, იმ ადამიანთა ფასიანი მომზადება, რომლებსაც აქვთ ინდივიდუალურ რეჟიმში გარკვეული პროფესიის დაუფლების სურვილი, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეული მარკეტინგული პროდუქტის დამზადება/წარმოება და გაყიდვა.

14. პროფესიული კოლეჯის ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს ისე, რომ იქ სწავლა შეძლონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა, რათა მათ მიეცეთ სხვადასხვა პროფესიის ფარგლებში თავიანთი ნიჭისა და უნარ-ჩვევების რეალიზების საშუალება.

15. პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურული ქსელი უნდა გაფართოვდეს და მოიცვას გურიის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტები, აგრეთვე, სოფლებიც; უნდა განხორციელდეს სოფლებში საბჭოთა მემკვიდრეობიდან შემორჩენილი ბევრი უფუნქციო შენობის რებილიტაცია და ისინი პრაქტიკის სწავლების კერებად გადაიქცეს. ეს ბევრ სოფლად მცხოვრებ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, რომ სწავლის გარკვეული პერიოდი გაატაროს საკუთარ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო სასწავლებლის დასრულების შემდეგ შეძლოს ინფრასტრუტურული ობიექტების გამოყენება საკუთარი ბიზნეს-საქმიანობის წარმართვისთვის. ეს შეაჩერებს მიგრაციულ პროცესს და სოფლების დაცარიელებას.

16. უნდა გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების სისტემაში ბიზნესის მონაწილეობის ხარისხი: სწავლების პროცესში უფრო მეტად უნდა ჩაერთონ პრაქტიკოსი ბიზნესმენები. ეს გულისხმობს როგორც ამა თუ იმ კურსის ფარგლებში საწარმოო (გარე) პრაქტიკის წილის გაზრდას, ისე პედაგოგებად ბიზნესმენების მოწვევას.

17. უნდა გაძლიერდეს პროფესიული კოლეჯის საწარმოო (გარე) პრაქტიკის კომპონენტი; კერძოდ, პრაქტიკის ორგანიზაციებს უნდა მიეცეს გარკვეული ბენეფიტები: ა) ადგილებზე პრაქტიკის კოორდინატორებს მიეცეთ დამატებითი ანაზღაურება; ბ) ორგანიზაციებს აუნაზღაურდეთ დახარჯული მატერიალური რესურსების საფასური; გ) პრაქტიკის ორგანიზაციებს დაუწესდეს საგადასახადო შეღავათები და ა.შ.

18. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კოლეჯში უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურისა და რუსულის) შესწავლას, რამდენადაც უცხო ენების ცოდნას თითქმის ყველა დამსაქმებელი ითხოვს. ეს იქნება კურსდამთავრებულთა მომავალი წარმატების საწინდარი პროფესიულ საქმიანობაში.

თავი 1

ინფორმაციის წყაროები პროფესიული სასწავლებლის („ჰორიზონტის“) შესახებ

„ჰორიზონტის“ შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კოლეჯის ადმინისტრაციისა და პედაგოგების, ასევე, აღნიშნული სასწავლებლის სტუდენტების (ახლანდელთა ან ყოფილთა) მოსაზრებები:

1. კოლეჯის ადმინისტრაციისა და პედაგოგების აზრით, ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი წყარო არის არაფორმალური – ის ადამიანები (ასევე, მათი ნათესავები, მეზობლები და ა.შ.), რომლებიც სწავლობდნენ „ჰორიზონტში“. ამ მოსაზრებას ამყარებენ კოლეჯის სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც. მათმა უმეტესობამ ინფორმაცია კოლეჯის შესახებ მიიღო მეგობრებისა და ნათესავებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ ადამიანების უმეტესობას, რომლებიც ამ შემთხვევაში იყვნენ ინფორმაციის მიმწოდებლები, უკვე გავლილი ჰქონდა რომელიმე კურსი პროფესიულ სასწავლებელში.

2. პროფესიული სასწავლებელი თავად ახდენს თვითრეკლამას/თვითპრეზენტაციას: „ჰორიზონტის“ ადმინისტრაცია, პედაგოგები და სტუდენტები დადიან სხვადასხვა საჯარო სივრცეში და ეწევიან სასწავლებლის პროპაგანდას. აღნიშნული მეთოდი, შეიძლება ითქვას, გამართლებულია, რადგან კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ინფორმაცია სწორედ ამ გზით მიიღო.

   „ჩვენ თავადაც დავდივართ სკოლებშიც და სოფლებშიც. სასწავლებელში სწავლის დაწყების წინ ჩვენი მასწავლებლები, სტუდენტები ჩვენი მაისურებით დავდივართ მთელ ქალაქში, მარშრუტკებთან, ბაზარშიც...“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

   „სასწავლებელში მიღების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ვიწყებთ გასვლებს. გვყავს ჩვენი მანქანა, მობილური ჯგუფები შევიკრიბებით, მივდივართ გურიის სამივე რაიონის სოფლებში, ფლაერებით, ბუკლეტებით შეიარაღებულები“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

ინფორმაციის მიწოდების ფორმალური საშუალებებიდან სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები გამოარჩევენ მედიაპროდუქტებს: სატელევიზიო რეკლამას (ადგილობრივი ტელევიზიით), დაბეჭდილ ბუკლეტებსა და ფლაერებს და ა.შ. ამ გზით ინფორმაცია საკმაოდ ბევრმა სტუდენტმა მიიღო; მათი თქმით, კოლეჯ „ჰორიზონტის“ შესახებ ბუკლეტების ნახვა შესაძლებელი იყო სკოლებში, სხვადასხვა სასწავლო ცენტრში, სუ-

პერმარკეტებში და, უბრალოდ, ქუჩებში, სადაც კოლეჯის წარმომადგენლები თავად აცნობდნენ დაინტერესებულ ადამიანებს ინფორმაციას კოლეჯის შესახებ.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე მოსწავლეთა მცირე ნაწილმა ინფორმაცია კოლეჯის შესახებ სკოლაში მიიღო. როგორც თავად ამბობენ, გურიის რეგიონის რამდენიმე სკოლაში არსებობს სხვადასხვა კურსი, რომლებიც სკოლის მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, დაეუფლონ ისეთ პროფესიებს, როგორიცაა: მზარეულობა, კერვა, მცენარეთა დაცვა და სხვ. აღნიშნულ კურსებზე ჩაწერა ნებაყოფლობითია და ეს ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია. როგორც სკოლის მოსწავლეები აღნიშნავენ, გაკვეთილებს პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლები ატარებენ. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ეს გზა პროფესიული კოლეჯის მიმართ ახალგაზრდების დაინტერესებას გაზრდის; მით უფრო, რომ მსგავსი კურსები წარმატებულად ითვლება.

> *„კურსები კვირაში 3 დღესაა და 2-2 საათს გრძელდება. ჯგუფში VIII- და IX-კლასელები არიან. ჯგუფში დაახლოებით 10-10 ბავშვია... ჩვენს სკოლაში გიდის, დიზაინერის და მცენარეთა დაცვის კურსებია. მე წელს მცენარეთა დაცვაზე ვარ, ჩვენი რვეულები გვაქვს და ვბეჭდავთ მასალებს. ვსწავლობთ, ვიმეორებთ და ვაკეთებთ პრეზენტაციებს. მიკროსკოპით ვაკვირდებით სხვადასხვა მავნებელს. დავდივართ ექსკურსიებზე, გვაქვს დარიგებული პინცეტი, სხვადასხვა მოწყობილობა“ (სკოლის მოსწავლე).*

> *„ტურიზმის სპეციალობის შემთხვევაში ვირგებთ როლებს; ზოგი სასტუმროს მენეჯერია, ზოგი - ტურების ოპერატორი, ზოგი - ტურისტი. ვნახულობთ, როგორ მოვირგებთ თითოეული ჩვენგანი როლს“ (სკოლის მოსწავლე).*

ფოკუს-ჯგუფებში ჩართულმა ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ინფორმაცია კოლეჯის შესახებ სკოლის პედაგოგებისგან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან ან საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის წარმომადგენლებისგან მიიღო. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ დამრიგებლებმა თავისუფალი საათები სწორედ ისეთ თემებზე სასაუბროდ უნდა გამოიყენონ, როგორიცაა: პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა და სხვ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დამრიგებლები აღნიშნულ თემებს თითქმის არ ეხებიან. მხოლოდ ცალკეული შემთხვევები არსებობს, როდესაც პედაგოგები მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას პროფესიული განათლების შესახებ და მიჰყავთ ექსკურსიაზე სხვადასხვა რეგიონის პროფესიულ კოლეჯებში. თავად პედაგოგები კი მიიჩნევენ, რომ ინფორმაციის მიწოდება პროფესიული განათლების კოლეჯების შესახებ, ასევე PR-კამპანიაც, მეტწილად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აგრეთვე, თავად პროფესიული კოლეჯების პრეროგატივაა.

> *„პროფესიული სასწავლებელი უნდა ზრუნავდეს საკუთარ პიარზე, ასევე განათლების სამინისტრო, რომ უზრუნველყონ პროფესიულ სასწავლებელზე ინფორმაციის გავრცელება. დამრიგებლების დონეზე ეს არ უნდა დაიგეგმოს“ (სკოლის პედაგოგი).*

როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საინფორმაციო წყაროების გავლენას კოლეჯ „ჰორიზონტის“ ადმინისტრაციის წევრები და პედაგოგები აფასებენ, როგორც მეტ-ნაკლებად ეფექტურს. ყოველ შემთხვევაში, 18 სასწავლო პროგრამიდან, რომლებსაც კოლეჯი ახორციელებს, ზოგიერთი (მაგალითად, მზარეულის, შემდუღებლის, სტილისტის და სხვ.) კონკურენტუნარიანია და მათზე კონკურსებიც კი იმართება.

თავი 2

რამდენად პრესტიჟულია დღესდღეობით პროფესიული განათლების მიღება?

როგორც ცნობილია, პროფესიულ განათლებას მძიმე მემკვიდრეობა ერგო: საბჭოთა დროში პროფესიულ სასწავლებელში სწავლა (უფრო სწორად, სასწავლად იძულებით გაშვება) განიხილებოდა, როგორც მოზარდის „დასჯა“ (ერთგვარი დეჰუმანიზაცია). პროფესიული განათლება არასოდეს ითვლებოდა წარმატებული პროფესიული კარიერის ინსტრუმენტად; პროფესიულ სასწავლებლებში ან ჩამორჩენილ („ძნელადაღსაზრდელ“) მოსწავლეებს გზავნიდნენ, ან ისინი მიდიოდნენ, ვისაც სურდა, რომ პროფესიული სასწავლებლის წითელი დიპლომით (რომელიც გარკვეულ პერიოდში საშუალო სკოლის ოქროს მედლის ტოლფასი იყო) უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა გაეადვილებინა (ერთი გამოცდის ჩაბარებით).

შეიცვალა თუ არა ვითარება პოსტსაბჭოთა პერიოდში? რა ვითარებაა დღეისათვის?

კოლეჯ „ჰორიზონტის“ წარმომადგენლების, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წევრის აზრით, დღეისათვის ვითარება (ყოველ შემთხვევაში, გურიის რეგიონში) მნიშვნელოვნად შეცვლილია პროფესიული განათლების პრესტიჟულობის სასარგებლოდ. ამას, მათი აზრით, სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს:

1. იმ ფონზე, როდესაც პოსტსაბჭოთა საქართველოში უმუშევრობა პერმანენტულად უმწვავესი სოციალური პრობლემაა, პროფესიული სასწავლებლის დიპლომი და კვალიფიკაცია დასაქმების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს – ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანსაც კი, ვიდრე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

   „ქალბატონი, რომელიც იყო ქიმიკოსი, მობრძანდა და ბუღალტერიას სწავლობს ჩვენთან. 10 წლის წინ ალბათ ეს მისთვის წარმოუდგენელი იყო. ექიმი ქალბატონი მობრძანდა ჩვენთან, ვერ დავიწყე მუშაობაო, და მზარეულის სპეციალობა შეისწავლა“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

   „მოთხოვნად პროფესიებში კურსდამთავრებულთა 55% დასაქმებულია; ეს მაჩვენებელი ბევრ უმაღლეს სასწავლებელს შეშურდება“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი“).

   „იყო შემთხვევები, თანაც ძალიან ბევრი, როცა უმაღლესი განათლების მქონე პირები, განსაკუთრებით იურისტები, დამირეგისტრირებია კაფელისა და მეტლახის დამგების, მებათქაშის და სხვა პროგრამებზე; მათ ვერ იპოვეს სამსახური და გადაწყვიტეს აქ სწავლა“ (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი სპეციალისტი).

2. პროფესიული სასწავლებლები ცდილობს, უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სასწავლო პროგრამებზე მიღება მოარგოს ბაზრიდან წამოსულ დაკვეთას. ეს აძლიერებს პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას.

3. პროფესიულ კოლეჯს აქვს გარე (საწარმოო) პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც გრძელდება საშუალოდ 1-1,5 თვეს. საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები პრაქტიკას გადიან დაწესებულებებში – კვების ობიექტებში, განთავსების ობიექტებში (სასტუმროები, ე.წ. „გესთ-ჰაუზები"), ავტოშემკეთებელ (ე.წ. პროფილაქტიკის) სახელოსნოებში, სილამაზის სალონებში და ა.შ. გარე პრაქტიკის კომპონენტის უპირატესობა ისაა, რომ ზოგჯერ დაწესებულებაში პრაქტიკაგავლილ ადამიანს თანამშრომლად იწვევენ. გარე პრაქტიკის კომპონენტი წარმოადგენს სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) ნაწილს. შესაბამისად, პრაქტიკის ორგანიზაციები ჩართულია სწავლების პროცესში. სამართლებრივად ამას უზრუნველყოფს მათთან გაფორმებული მემორანდუმები, რომლებიც ინსტიტუციური თანამშრომლობის დადასტურებაა.

   „როცა რესტორანში არიან ჩვენი სტუდენტები პრაქტიკაზე, მათ აკვირდება მეპატრონე. მერე ხდება ისე, რომ, თუ, მაგალითად, 5 ადამიანია იმ ობიექტზე დასაქმებული, მათგან 3 აგრძელებს მუშაობას, ანუ მათ სამსახურში ტოვებს მეპატრონე" („ჰორიზონტის" ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

4. დამსაქმებლებსა და პროფესიულ კოლეჯებს, ცალკეულ შემთხვევებში, აქვთ მიზნობრივი თანამშრომლობა. ეს ნიშნავს, რომ ზოგჯერ სპეციალისტები მიზნობრივად მზადდება, დამსაქმებელთა ინტერესების შესაბამისად.

5. არცთუ იშვიათად, დამსაქმებლები ვაკანსიებზე აპლიკანტების შერჩევისას ყურადღებას აქცევენ იმას, აქვს თუ არა სამუშაოს მაძიებელს მიღებული პროფესიული განათლება და მისი დამადასტურებელი სერტიფიკატი. ეს ნიშნავს, რომ პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები შრომის ბაზარზე ანგარიშგასაწევი ადამიანური რესურსია, რაც ზრდის არსებულ ვაკანსიებზე მათი რეკრუტირების შანსს.

   „როცა ჩვენი ბავშვები წავიდნენ პრაქტიკაზე, ურეკის ერთ-ერთი სასტუმროს დირექტორი მირეკავს და მეუბნება,, ამათ რომ იციან, იმის ნახევარი რომ მე ვიცოდე, რა მიჭირსო. ამიტომ დაიტოვა ის ბავშვები, მეორე წელსაც წაიყვანა, იმიტომ რომ ამათ აქვთ ის ჩვევები, რომლებიც იქ მომუშავე სხვა ადამიანებს არ გააჩნიათ" („ჰორიზონტის" ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

6. პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტს" აქვს უახლესი და მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც სტუდენტებს პროფესიის ხარისხიანად დაუფლებაში ეხმარება.

7. ხორციელდება პროფესიული კოლეჯის მასწავლებელთა პერიოდული გადამზადება უწყვეტი განათლების მიდგომის ფარგლებში. გადამზადებაში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორიოსო დონორი ორგანიზაციები. ადგილობრივ ორგანიზაციებს შორს წამყვანია „მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი", ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

განსხვავებული (ზოგჯერ საპირიპირო) მოსაზრებები ამ თემასთან დაკავშირებით აქვთ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს. ისინიც მიიჩნევენ, რომ პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დასაქმების არცთუ მცირე შესაძლებლობა აქვთ, თუმცა საუბრობენ საზოგადოების დამოკიდებულებაზე, რომელიც ნამდვილად არ არის, მათი აზრით, დადებითი. რესპონდენტები გამოყოფენ რამდენიმე ფაქტორს, რომელთა გამოც პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარება პრესტიჟულად არ ითვლება:

1. სკოლებში პედაგოგები დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს ურჩევენ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას, რითაც იმთავითვე აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ პროფესიულ სასწავლებელში მხოლოდ „სუსტი“ მოსწავლეები უნდა აბარებდნენ, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები უმაღლეს განათლებას იღებდნენ. აღნიშნული სტიგმა, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი ხანია, არსებობს, მაგრამ, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისა და მოსწავლეების აზრით, ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები კვლავაც არ შეინიშნება.

   „რა თქმა უნდა, ვისაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს, ის მიდის მანდ“ (სკოლის პედაგოგი).

   „მასწავლებლები ურჩევენ მოსწავლეებს პროფესიულ სასწავლებლებს, ოღონდ უფრო ცუდად: „ტვინი არ გაქვს და წადი, პროფესიულში მაინც ჩააბარე“ - ამ კონტექსტში ეუბნებიან“ (სკოლის მოსწავლე).

   „ჩემი კლასელი IX კლასიდან გავიდა. მასწავლებელმა რომ იკითხა მასზე, ჩვენ ვუთხარით, რომ პროფესიულში წავიდა. მასწავლებელს გაუხარდა, რადგან ის ბავშვი სკოლაში კარგად არ სწავლობდა, პროფესიულში კი ისეთ ხელობას ისწავლიდა, რაც გამოადგებოდა ცხოვრებაში. მასწავლებელმა თქვა, რომ არაფრის კეთებას ჯობია, კოლეჯში წახვიდე და პროფესია გქონდეს“ (სკოლის მოსწავლე).

   „როცა დავდივარ მშობელთა კრებაზე, მასწავლებელი სულ ურჩევს ხოლმე პროფესიულ სასწავლებელს იმ ბავშვების მშობლებს, რომლებსაც უჭირთ ან ვერ სწავლობენ, ან იმედი არ ჰქონდათ, რომ გამოცდებს ჩააბარებდნენ; უთქვამთ, ნუ გაჩერდებიან სკოლაში ეს ორი წელი და ჩააბარონ პროფესიულშიო“ (მშობელი).

2. მნიშვნელოვან როლს პროფესიული სასწავლებლის პრესტიჟულობის განსაზღვრაში ასრულებს მშობელთა მოსაზრებები და დამოკიდებულება. როგორც სკოლის მოსწავლეები აღნიშნავენ, მშობლებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, მათმა შვილებმა ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებლებში. მათთვის პროფესიული სასწავლებლები არ არის პრესტიჟული. ისინი აღნიშნავენ, რომ მოსწავლე თუ წარმატებულია, სწავლობს და აქვს მაღალი შეფასებები, მან აუცილებლად უნდა ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში. მშობლების თქმით, შვილთან პროფესიულ კოლეჯში მისი ჩაბარების შესაძლებლობის განხილვა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი დარწმუნებული ხარ, რომ ის ეროვნულ გამოცდებზე მინიმალურ ზღვარს ვერ გადალახავს. ასეთ შემთხვევაში, პროფესიული განათლება რჩება მეორეხარისხოვან ალტერნატივად. შესაბამისად, ის დადებითი მახასიათებლები, რომლე-

ბიც ზემოთ აღინიშნა (კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დასაქმება, საწარმოო პრაქტიკა და სხვ.) მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, თუ მოსწავლე უმაღლესი განათლების მიღმა რჩება.

„მე შვილი მყავს, მეთერთმეტე კლასი დაამთავრა წარმატებით და აუცილებლად უნდა წავიდეს უმაღლესში, აუცილებლად“ (მშობელი).

„მე, როგორც მშობელი, თუ შევატყობ, რომ ბავშვი ვერ შეძლებს ელემენტარული ზღვრის გადალახვას, არ ვაწვალებ და ვურჩევ კოლეჯში ჩაბარებას“ (მშობელი).

3. სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ პროფესიულ სასწავლებლებს ირჩევენ არა მხოლოდ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები, არამედ, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ფინანსები, რათა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელონ. როგორც მონაწილეები აღნიშნავენ, უმაღლესი განათლების მიღება საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახების წევრი ახალგაზრდები ირჩევენ პროფესიულ კოლეჯებს.

4. მშობლებისა და პედაგოგების დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე. მოსწავლეები თავად იზიარებენ იმ აზრს, რომ, თუ მაღალი აკადემიური მოსწრება გაქვს, სწავლა უმაღლეს სასწავლებელში უნდა განაგრძო. თვით პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მათ პროფესიული კოლეჯი აირჩიეს, იყო მათი დარწმუნებულობა, რომ ვერ ჩააბარებდნენ უმაღლეს სასწავლებელში, ან, ჩაბარების შემთხვევაში, ვერ შეძლებდნენ იქ სწავლას. ამდენად, ახალგაზრდების გადაწყვეტილება, ჩააბარონ ნაკლებად პრესტიჟულ პროფესიულ სასწავლებელში, უპასუხებს მათი მშობლების, პედაგოგებისა და, ზოგადად, საზოგადოების მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიული სასწავლებლები წარუმატებელი და უპერსპექტივო ახალგაზრდების თავშესაფარია.

„მე ვიცოდი, რომ XI-ში და XII-ში ვერ გადავიდოდი და ეს ვამჯობინე. ვიცოდი, იქ მაინც ვერ შევძლებდი სწავლას. ის 3 წელი ტყუილად უნდა დამეკარგა დრო სკოლაში“ (კოლეჯის სტუდენტი).

5. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთათვის პროფესიული განათლება, უპირატესად, წარმოადგენს დამატებით (დამხმარე) შესაძლებლობას დასაქმებისთვის. როგორც მშობლები, პედაგოგები და მოსწავლეები აღნიშნავენ, პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარება უმეტესად მაშინ არის სასარგებლო, თუ პარალელურად ჩააბარებ უმაღლეს სასწავლებელში, ან ბაკალავრიატის საფეხური უკვე დამთავრებული გაქვს. ფოკუს-ჯგუფებში ჩართულმა, ფაქტობრივად, ყველა მოსწავლემ აღნიშნა, რომ სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებლებში აპირებს, თუმცა ისინი არ გამორიცხავენ, რომ მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარონ პროფესიულ სასწავლებელში. იგივე დამოკიდებულება აქვთ მშობლებსაც.

„კარგად რომ არ ვსწავლობდე, წავიდოდი [პროფესიულ სასწავლებელში], სტილისტობა მომწონს და ვისწავლიდი. თუმცა, უმაღლესთან ერთად სიამოვნებით ვისწავლიდი პროფესიულში“ (სკოლის მოსწავლე).

„ჩემი შვილი კარგად სწავლობს და იმედი მაქვს, ასე გააგრძელებს. მას ვერ ვეტყვი, ბუნებრივია, რომ ჩააბაროს აქ [პროფესიულ კოლეჯში]. თუ ჩემი შვილი ჩააბარებს უმაღლეს სასწავლებელში, მასთან ერთად (პარალელურად) ვურჩევდი კოლეჯსაც“ (მშობელი).

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება დღესდღეობით ნამდვილად არ არის პრესტიჟული; მეტიც, ზოგჯერ არსებული სტიგმები იმდენადაა ფესვგადგმული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, რომ პროფესიულ კოლეჯში სწავლა სირცხვილად ითვლება.

„რამდენიმე ფაქტი ვიცი, რომ ბათუმშიც არის ასეთივე პროფესიული სასწავლებელი და ოზურგეთიდან იქ დადიან, მარტო იმიტომ, რომ გარშემო ადამიანებმა არ გაიგონ, რომ პროფესიულში სწავლობენ. ეს ყველაფერი სტერეოტიპების ბრალია“ (სკოლის მოსწავლე).

თავი 3

პრობლემები/გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული განათლების მიღებასთან

პროფესიული განათლების წინაშე არსებულ პრობლემებზე/გამოწვევებზე საუბრობენ კოლეჯ „ჰორიზონტის“ პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები; კერძოდ, ისინი გამოყოფენ შემდეგს:

1. მწვავე პრობლემაა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იმ მოსწავლეებისა, რომლებიც სხვა მუნიციპალიტეტებიდან/სოფლებიდან დადიან: მათ (მათ ოჯახებს) უჭირთ, გაიღონ ფინანსები ტრანსპორტისთვის, კვებისთვის და ა.შ. ამის გამო სტუდენტებს ხშირად უწევთ გაკვეთილების გაცდენა, რაც ცუდად აისახება როგორც მათ სწავლის მოტივაციაზე, ისე პროფესიული კვალიფიკაციის შეძენაზე.

   „მყავდა ერთი სტუდენტი, ლანჩხუთიდან დადიოდა; დღეში ტრანსპორტში სჭირდებოდა 4 ლარი, ამას ემატებოდა კიდევ კვება და უმუშევარი ოჯახისთვის ეს იყო დიდი ტვირთი. შემდეგ ეს [სტუდენტი] გააცდენს გაკვეთილებს, მერე მოდის, დახვდება უცხო საკითხები და ეს წყვეტა მოტივაციასაც უკარგავს და ვეღარც სწავლობს მერე კარგად. ეს სტუდენტთა დიდი ნაწილის პრობლემაა“ (კოლეჯ „ჰორიზონტის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

ამ პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებენ, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები:

„ჩვენ ლანჩხუთს წარმოვადგენთ; ფაქტობრივად, ძალიან მცირე რაოდენობას ვარეგისტრირებთ პროფესიულ სასწავლებელში [რომელიც ოზურგეთშია]... განა სურვილი არ აქვთ, უბრალოდ, ძალიან ძვირი უჯდება მშობელს; უწევთ, რომ ბინა დაუქირავონ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფული მისცენ... შესაბამისად, მშობელი ვერ აძლევს [შვილს] განათლებას და ურჩევნია, მეზობელ ხელოსანთან მიიყვანოს (კერძოდ) და იქ ასწავლოს, ვიდრე გამოუშვას პროფესიულ სასწავლებელში“ (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი).

2. სწავლების ხარისხს მნიშვნელოვნად აქვეითებს ის, რომ უაღრესად დაბალია სასკოლო(საბაზისო) მომზადების დონე იმ კონტინგენტისა, რომელიც განაცხადს აკეთებს პროფესიულ სასწავლებელში ჩასაბარებლად. ბევრ მათგანს არ გააჩნია ელემენტარული ცოდნა და უნარ-ჩვევები. ვინც სკოლაში კარგად სწავლობდა, უმაღლეს სასწავლებლებში მიდის, ხოლო პროფესიულ სასწავლებლებს აკითხავს

მხოლოდ ის ნაკადი, რომლისთვისაც უმაღლესი განათლება, ფაქტობრივად, ხელმიუწვდომელია. ასეთ კონტინგენტს კი, როგორც ითქვა, სასკოლო (საბაზისო) განათლების უაღრესად დაბალი დონე აქვს. ამიტომ პროფესიული კოლეჯის სტუდენტებს, გარდა იმ საგნების ათვისებისა, რომლებსაც სკოლაში სწავლობდნენ, პროფესიის დაუფლებაც უჭირთ.

„მოსწავლეები ელემენტარული ცოდნითაც ვერ მოდიან სასწავლებელში. აქ მოდის ხალხი, მაუსი არ სჭერიათ ხელში... აი, რომ წაიკითხავენ, მოყოლა უნდა შეეძლოთ და დამახსოვრება. ეს უნარ-ჩვევები უნდა გამოიმუშაონ სკოლაში და ეს არ აქვთ“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

„[სასწავლებელში] ზოგი ისეთი ბავშვი მოდის, რომლებმაც არც გამრავლების ცხრილა იციან, არც გამართული წერა და კითხვა. შედეგიც სავალალო გვაქვს მერე; მეცოდებიან ეს ბავშვები; უნდათ, რომ ისწავლონ, მაგრამ ბაზა არ აქვთ“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

ამ პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს პედაგოგთა დამოკიდებულება სკოლებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მასწავლებლები კოლეჯში სწავლის გაგრძელებას ურჩევენ მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებიც არიან დაბალი აკადემიური მოსწრების, აქვთ დისციპლინური გადაცდომები, ან ვერ გადალახეს სკოლის საატესტატო გამოცდისთვის დაწესებული ბარიერი. შესაბამისად, ამ ახალგაზრდების (რომლებიც, რეალურად, პროფესიული კოლეჯის კონტინგენტს წარმოადგენენ) საბაზისო ცოდნის დონე არის ძალიან დაბალი. პედაგოგთა ნაწილი აღნიშნავს იმასაც, რომ, თუ ზოგიერთ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეს არ ურჩევენ სკოლის IX კლასიდან გასვლას, ეს, ძირითადად, იმის გამო ხდება, რომ მასწავლებლებს, სკოლების ვაუჩერული დაფინანსების პირობებში,ხელფასების მიღებისას ბარიერი არ შეექმნათ.

„თუ ექვსიანზე სწავლობს [მოსწავლე], მაშინ ურჩევენ პროფესიულ სასწავლებელს [პედაგოგები]. ეს, ჩემი აზრით, არ არის სწორი. არ არის აუცილებელი, რომ პროფესიულ სასწავლებელში საშუალო მოსწავლე სწავლობდეს. იმის მიხედვით კი არ უნდა ირჩევდნენ პროფესიას, როგორ სწავლობენ, არამედ იმის მიხედვით, რა მოსწონთ და რა უნდათ, რომ აკეთონ ცხოვრებაში“ (საჯარო სკოლის პედაგოგი).

„მოდი, ვთქვათ, რატომ არ ვურჩევთ უფრო მეტ მოსწავლეს [გავიდეს მე-9 კლასიდან და ჩააბაროს კოლეჯში]. იმიტომ რომ სკოლაში არის ვაუჩერული სისტემა; რა ვუყოთ იმ საათებს, რომლებიც ჩვენ გვარჩენს? ეს ძალიან დიდი პრობლემაა“ (საჯარო სკოლის პედაგოგი).

3. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მწვავე პრობლემაა პროფესიული კოლეჯების სასწავლო პროგრამების სირთულე, მათი შეუსაბამობა მოსწავლეთა აკადემიურ მზაობასთან და ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან. გარდა ამისა, ზოგიერთი სასწავლო მასალა წარმოადგენს თარგმანს უცხო ენიდან, რომელიც, არცთუ იშვიათად, იმდენად ცუდადაა შესრულებული, მისი შინაარსი გაუგებარია.

„ახლა მომივიდა ახალი პროგრამა; ლოგარითმი და ინტერვალი უნდა ვასწავლო. ვიფიქრე, ვინ დაწერა ეს პროგრამა-მეთქი, ჩავყევი და ვიღაც უცხოელების დაწერილია... ამას ჩვენი მოსწავლე ვერ დაძლევს“ („ჰორიზონტის“ მათემატიკის პედაგოგი).

„ელექტრიკოსის მოდული არ არის ფიზიკოსის ნათარგმნი. ამიტომ გაუგებარია ტერმინოლოგიაც და შინაარსიც“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

„[სასწავლო] პროგრამა უნდა იყოს იმათი შედგენილი, ვინც იცნობს ამ კონტინგენტს. მე თუ მომთხოვე, 100 კილო ასწიეო, ვერ ვიზამ, რადგან შემიძლია, ავწიო მხოლოდ 50“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

4. კოლეჯის პედაგოგთა გადასამზადებელი ტრენინგები, ძირითადად, ერთ ხაზს მიჰყვება, კერძოდ, ორიენტირებულია სწავლების მეთოდებზე და ყველაზე ნაკლებად – საგნობრივ მომზადებაზე (კოლეჯის პედაგოგთა აზრით, ეს განსაკუთრებით ეხება მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს).

„გადამზადებები, ძირითადად, ეხება სწავლების მეთოდებს; ჩემს საგანში რომ დონე ავიმაღლო, არასდროს ყოფილა ასეთი ტრენინგი. საგნობრივი არ არის ჩვენი ტრენინგები“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

„მასწავლებელთა სახლის ტრენინგები არის უსარგებლო; უბრალოდ, დროის დაკარგვაა. ჩვენ შევთავაზეთ, რომ მივაწვდიდით თემებს, რომლებიც გვაინტერესებს და გვჭირდება, მაგრამ ისინი მაინც იმ საკითხზე გვიტარებენ ტრენინგს, რომელიც მათ უნდათ“ („ჰორიზონტის“ პედაგოგი).

5. სერიოზული გამოწვევები უკავშირდება ე.წ. „მოდულურ“ სწავლებაზე გადასვლას. მოდულური სწავლება ძალზე ვიწრო სპეციალობის ფარგლებში რომელიმე ხელობის დაუფლების საშუალებას იძლევა; შესაბამისად, მსურველმა უნდა დაფაროს არა სასწავლო პროგრამის სრული საკრედიტო მოცულობა (ვთქვათ, 60 კრედიტი), არამედ დავიწროებული ხელობისთვის განკუთვნილი კრედიტები (ვთქვათ, 2 ან 3 კრედიტი). მაგალითად, ვინმემ შეიძლება შეისწავლოს მხოლოდ ქალის სტილისტის, ან აგურის წყობის სპეციალობა. შესაბამისად, ამა თუ იმ მოდულის დაფარვის შემდეგ გაიცემა არა დიპლომი (რომელიც არის ინსტიტუციური ჯილდო სრული პროგრამის დაფარვის აღსანიშნავად), არამედ სერტიფიკატი. კოლეჯ „ჰორიზონტის“ ზოგიერთი წარმომადგენელი ფიქრობს, რომ მოდულური სწავლება კიდევ უფრო მეტად ზღუდავს შრომის ბაზარზე „შესვლის“ შესაძლებლობებს. დღესდღეობით, ვაკანსიების თვალსაზრისით, არ არსებობს იმის ფუფუნება, რომ ძალზე დავიწროებული სპეციალობის მქონე ადამიანები დასაქმდნენ; აპლიკანტების კვალიფიკაცია უნდა იყოს მოქნილი იმისათვის, რომ მოერგონ სხვადასხვა მოთხოვნას და, შესაბამისად, გაზარდონ დასაქმების შანსი.

6. პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები დაუცველები არიან შრომის ბაზარზე, რადგან არ არსებობს დამსაქმებლისთვის იმის ვალდებულება, რომ სამსახურში აიყვანოს მხოლოდ პროფესიული (ოფიციალური) დიპლომის მქონე პირი. სამსახურში აყვანის პრაქტიკაში არცთუ უმნიშვნელოდ მონაწილეობს, აგრეთვე, ლობისტური და ნეპოტისტური კავშირები, რაც კიდევ უფრო მეტად დაუცველს ხდის პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულს. არადა, არსებობდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომ ორგანიზაციაში/ობიექტზე უნდა დასაქმებულიყო მხოლოდ პროფესიული დიპლომის მქონე ადამიანი. ამის გაკონტროლება ევალებდა შრომის სახელმწიფო ინსპექციას. ეს ინიციატივა არ განხორციელებულა.

„კანონი რომ შეიქმნა პროფესიული განათლების შესახებ, მასში იყო ერთი ასეთი მუხლი - 2011 წლიდან უნდა შექმნილიყო შრომის სახელმწიფო

ინსპექცია, რომელიც ყველა ორგანიზაციაში გააკონტროლებდა იმას, რომ ვისაც არ აქვს პროფესიულის დიპლომი, არ შეეძლებოდა მუშაობა; მაგრამ ეს კანონი ამოიღეს. დღეს პროფესიულის დიპლომის მქონეები ვერ ფლობენ უპირატესობას, რადგან დამსაქმებელმა შეიძლება ნათესავი ან მეგობარი დაასაქმოს. თუ გინდა გამყიდველობა, უნდა დაეუფლო გამყიდველის პროფესიას, გქონდეს დიპლომი და მერე დაიწყო მუშაობა. ეს კანონი რომ შემოვა, მაშინ ყველა მოვა პროფესიულში" („ჰორიზონტის" ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

7. არცთუ იშვიათად ხდება ისე, რომ ორგანიზაციები ეწევიან პროფესიული კოლეჯის ახალკურსდამთავრებულთა შრომით ექსპლოატაციას; ეს გამოიხატება იმაში, რომ: ა) მათი ანაზღაურება ბევრად ჩამორჩება ანალოგიური სამუშაოს შემსრულებელი, თუმცა, უფრო სტაჟიანი თანამშრომლების ანაზღაურებას; და ბ) პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულებს თვეობით იღებენ პრაქტიკოსებად/სტაჟიორებად და ამ პერიოდში საერთოდ არ უხდიან ხელფასს; თანაც, იმის გარანტიასაც არ აძლევენ, რომ სამსახურში დატოვებენ.

„ერთი პრობლემაა, როდესაც [ორგანიზაციაში] მიდიან ჩვენი სტუდენტები, ძალიან ხშირად ისეთივე დატვირთვა აქვთ, როგორიც იქ მუდმივად მომუშავეებს, მაგრამ ანაზღაურება ჩვენს ბავშვებს უფრო ნაკლები აქვთ, მინიმალური" („ჰორიზონტის" ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

8. პროფესიული კოლეჯის პედაგოგები სერიოზულ პრობლემად ასახელებენ მასწავლებელთა შრომითი უფლებების დაუცველობას. ეს გამოიხატება პროფესიული მასწავლებლის სტატუსის უქონლობაში, რაც განაპირობებს იმას, რომ პედაგოგს არ ეძლევა ფასიანი შვებულება, მისი შრომითი ხელშეკრულება მოკლევადიანია (ემთხვევა სასწავლო პროგრამის მიმდინარეობის ხანგრძლივობას, მაგალითად, 6 თვეს) და ა.შ. ეს უარყოფითად მოქმედებს სწავლების პროცესში პედაგოგთა მონაწილეობის ხარისხზე.

„საერთოდ, ამდენი წელია, ვასწავლით და, სამწუხაროდ, პროფესიული მასწავლებლის სტატუსი არ გვაქვს. ჩვენ ვართ არასრულ ხელშეკრულებაზე. ერთწლიანიც არ არის ეს ხელშეკრულება, შესაბამისად, არც შვებულება გვაქვს და არც შვებულების ანაზღაურება. ხელშეკრულებას გვიდებენ პროგრამაზე მიღების მიხედვით" („ჰორიზონტის" პედაგოგი).

„ეს ბოლო 2 წელია, მდგომარეობა შედარებით სტაბილურია; ორჯერ გვაქვს მიღება და ამიტომ. ადრე 6-თვიანი რომ იყო რაღაც პროგრამები, დარჩენილ 6 თვეს უხელფასოდ ვიყავით. ყველამ უნდა დაისვენოს 1 თვეს. კოლეჯს გვაქვს დასვენება, მაგრამ უხელფასო" („ჰორიზონტის" პედაგოგი).

პროფესიული სასწავლებლების პედაგოგების სტატუსთან დაკავშირებით წუხილს გამოთქვამენ, აგრეთვე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ისინი მიუთითებენ, რომ პროფესიული სასწავლებლების პედაგოგები არ არიან პროფესიული განვითარების (კარიერის) სქემაში ჩართული. შესაბამისად, მათ არ აქვთ სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების და პროფესიული გადამზადების ტრენინგების გავლის ვალდებულება. ამასთან, მათი დასაქმება ამა თუ იმ სასწავლო პროგრამაზეა „მიბმული" და თუ რომელიმე პროგრამას მიღება არ აქვს, ან საკმარისი რაოდენობის მოსწავლე არ ჩაირიცხა, პედაგოგი უფუნქციოდ რჩება და სახელმწიფო მას ხელფასს ვერ გადაუხდის.

პედაგოგებისთვის ერთი მნიშვნელოვანი შეღავათი ამ კუთხით ისაა, რომ პროფესიულმა სასწავლებელმა ამა თუ იმ პროგრამაზე (რომლებიც, როგორც წესი, 6-თვიანია) მიღება წელიწადში ორჯერ (შემოდგომასა და გაზაფხულზე) გამოაცხადოს და ამ გზით პედაგოგს მთელი წლით დასაქმების შესაძლებლობა მისცეს. ამდენად, პედაგოგები თავად არიან დაინტერესებულნი, რომ მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდების რეკრუტირებაში.

„კოლეჯებში არის ორი მიღება, ერთი – ოქტომბერში, ერთიც – გაზაფხულზე. თუ ხალხი არ მოვა, უხელფასოდ დარჩება ის პედაგოგი. იცით, რამდენს წვალობენ და რამდენს დადიან სოფლებში, რომ მოიზიდონ სტუდენტები?“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი).

გარდა ამისა, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების და მუნიციპალური ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაუქმდა ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა მანდატურის სამსახურის „ქუდის“ ქვეშ, სახელწოდებით „პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა“. ამ ინსტიტუტის ფუნქცია იყო მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებისა და დასაქმების ადგილებზე ვიზიტების ორგანიზება, პროფესიული სასწავლებლების პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა და ა.შ.

„ეს იყო არაჩვეულებრივი სამსახური [„პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა“], რომელიც არ ითვალისწინებდა მარტო გაკვეთილების ჩატარებას, სამსახური ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებს, სხვადასხვა დაწესებულებაში მისვლას და პრაქტიკულად ნახვას, რა კეთდებოდა იმ დაწესებულებებში. არ დაგვიტოვებია პატარა საწარმოც კი, ყველაფერი მოვინახულეთ. ეს იყო საოცარი პროგრამა და მასწავლებელები მუშაობდნენ საოცრად“ (პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის სამსახურის ყოფილი სპეციალისტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).

საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების წარმომადგენლები მიუთითებენ პროფესიული განათლების განვითარების ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორზე: პროფესიული განათლების კოლეჯებს არ გააჩნია საშუალო განათლების უზრუნველყოფის კომპონენტი. ის მოსწავლეები, რომლებიც მეცხრე კლასის დასრულების შემდეგ მიდიან კოლეჯებში, ვერ იღებენ ზოგად განათლებას და შესაბამის ატესტატს. ამდენად, მათ ძალზე ეზღუდებათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა (ეს შანსი მათ მხოლოდ ექსტერნად სკოლის დამთავრების შემთხვევაში მიეცემათ, რაც, ფაქტობრივად, განუხორციელებელი პერსპექტივაა). ეს ხარვეზი პროფესიულ კოლეჯში ჩაბარების მოტივაციას ანელებს, რადგან, ფაქტობრივად, კეტავს უმაღლესი განათლების მიღების გზას. არადა, სრულიად მოსალოდნელია (და ასეთი პრაქტიკა ხშირია განვითარებულ ქვეყნებში), რომ ახალგაზრდამ პროფესიული განათლების შეძენის შემდეგ იფიქროს უმაღლესი განათლების მიღებაზე.

„პროფესიულ სასწავლებელს არ აქვს საშუალო განათლების მიღების საფეხური. აი, ეს რომ ჰქონდეს და, პროფესიის დაუფლებასთან ერთად, იქ ბავშვი იღებდეს ზოგად განათლებას, დამიჯერეთ, გაცილებით მეტი მსურველი იქნებოდა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი შემაფერხებელი. იქნებ, მერე უნდა უმაღლეს სასწავლებელში [სწავლა]? ამ შემთხვევაში მან ექსტერნად უნდა დაამთავროს სკოლა, რაც, წლების გავლის შემდეგ, რთული პროცესია, დამეთანხმებით. ადრე იყო – პროფესიულში იღებდნენ ზოგად

განათლებასაც... განიხილებოდა საკითხი, რომ პროფესიულს ეს ფუნქცია დაბრუნებოდა... თუ ეს იქნება შესაძლებელი, უფრო ბევრი მსურველი იქნება და კარგი კატეგორია წავა პროფესიული განათლების მისაღებად" (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი).

პროფესიული განათლების წინაშე არსებულ გამოწვევებზე საუბრობენ ბიზნესმენთა ფოკუს-ჯგუფშიც; კერძოდ, ბიზნესმენები, რომლებიც გურიის რეგიონში საქმიანობენ, მიუთითებენ, რომ:

1. გურიის რეგიონში (და, სავარაუდოდ, მთელ საქართველოში) რუსული ენის მცოდნე კვალიფიციური გიდების დეფიციტია. ეს იმ დროს, როდესაც, ტურისტების ყველაზე დიდი ნაკადი, წილობრივად, სწორედ რუსულენოვან ვიზიტიორებზე მოდის. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული პროფესიული სასწავლებელი „ჰორიზონტი" ამ მიმართულებით ტურისტულს ბიზნესს ნამდვილად ვერ ეხმარება.

   „ჩვენ ყველანაირი რესურსი გვაქვს, რომ ტურიზმი „ამოვქაჩოთ", მაგრამ პრობლემა არის მომსახურება. ძალიან ბევრია რუსულენოვანი ვიზიტიორები; ჩემს საოჯახო სასტუმროსაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „პარაგრაფთან" და მოთხოვნაც დიდია, მაგრამ არის რუსული ენის მცოდნე გიდების დეფიციტი, რაც პრობლემას ქმნის" (საოჯახო სასტუმროს მფლობელი ოზურგეთში).

2. ბიზნესმენები აღნიშნავენ, რომ კვალიფიციური კადრების დეფიციტი არ გულისხმობს მხოლოდ რუსული ენის არმცოდნე გიდებს და არც მხოლოდ გურიის რეგიონს. ბიზნესმენების აზრით, დღესდღეობით მომსახურების და სოფლის მეურნეობის სფეროს თითქმის ყველა პროფესიაში არსებობს კვალიფიციური კადრის დეფიციტი, განსაკუთრებით, რეგიონებში (გურიაც ამის მაგალითია). ისეთი, ერთი შეხედვით მარტივი საქმეებიც კი, როგორიცაა ფანჯრის გაწმენდა, ჩაის მოკრეფა და ა.შ., ხარისხიან შემსრულებლებს მოითხოვს, რომლებიც არ გვყავს. ბევრი ენერგია, ფული იხარჯება პროფესიული განათლების მიმართულებით, თუმცა, ამას თანაზომიერი ეფექტი არ აქვს.

   „ავიღოთ თუნდაც იატაკის დასუფთავება, ფანჯრების გაწმენდა. აქაც კი ჭირს კადრი. რაღაცას ხარჯავ, თანხას და ენერგიას, და შედეგი უმნიშვნელოა. მარგი ქმედების კოეფიციენტი გვინდა დახარჯული ენერგიიდან... აი, ნამცხვრები რომ ავიღოთ – მე ვამბობ, რომ ნამცხვარი არ უნდა იყოს ტკბილი, ნამცხვარი უნდა იყოს გემრიელი. არ მგონია, ოზურგეთში ვინმემ იცოდეს, რას ნიშნავს ეს. ახლა ოზურგეთში რომ შეიძლება ჩვენზე უკეთესი ნამცხვარი არსად იყიდება, არ ნიშნავს, რომ ის საუკეთესოა (საშუალო ბიზნესის მეპატრონე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში).

   „დავიწყე [ჩაის] ბუჩქის განახლებაზე ზრუნვა... მივაღწიე იმას, რომ ბუჩქი საბოლოოდ განვაახლე და მომცა შედეგი; ახლა მივედი მკრეფავამდე, ვიღაცამ ხომ უნდა დამიკრიფოს? აღმოჩნდა, რომ მკრეფავების 99% ვერ კრეფს ხარისხიან ჩაის... დაახლოებით 70-80 ქალბატონიდან 12 წელიწადში 10 ადამიანი გახდა თანამშრომელი (ბიოფერმერი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).

„უმუშევრობაზე მეტად საქართველოში უცოდინრობის პრობლემაა. არც ოზურგეთის კოლეჯი არის განსხვავებული. საერთოდ, სახელმწიფო უნდა ფიქრობდეს, რაღაცაში ფულს რომ ხარჯავს, რამდენად ეფექტურად ხარჯავს. მე მიმაჩნია, რომ უაზროდ დიდია [ხარჯები], მიდგომა კი – ზედაპირული. ამ სფეროში [პროფესიულ განათლებაში] დახარჯული თანხა ეფექტზე კი არა, უფრო პოლიტიკურ ქულებზეა გათვლილი“ (დიდი ბიზნესის მეპატრონე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში).

3. მეორე მხრივ, ბიზნესმენები აღნიშნავენ, რომ საქართველოს რეგიონებში (გურიის მაგალითზე) არსებობს ერთგვარი შეუსაბამობა (დისბალანსი) კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნასა და ანაზღაურების შესაძლებლობებს შორის: კვალიციფიციური კადრი მაღალ ანაზღაურებას ითხოვს, რის გადახდის შესაძლებლობაც რეგიონებში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესს არ აქვს. ამდენად, არჩევანს აკეთებენ ადგილობრივ კადრებზე, თუმცა ის დაბალკვალიფიციურია.

„კადრების დეფიციტი არის, მაგრამ, ასევე, არსებობს კადრებისა და ანაზღაურების შეუსაბამობა. შეიძლება იპოვო კადრი, მაგრამ ვერ დააფინანსო კარგად, ვერ გადაუხადო ხელფასი; მაგალითად, შეიძლება კარგი მზარეული ჩამოიყვანო, მაგრამ ჩვენი მხარე არ გაძლევს იმის საშუალებას, რომ მაღალი ხელფასი გადაუხადო. ამიტომ ჩვენც ვჯერდებით ადგილობრივ კადრებს, რომლებიც არის [ბაზარზე]“ (საოჯახო სასტუმროს მფლობელი ოზურგეთში).

4. გურიის რეგიონში ბიზნესის მქონე ადამიანების ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტის“ მიერ გამოშვებული კადრების მიმართ. კრიტიკა, პირველ რიგში, მათ კვალიფიკაციას ეხება, თუმცა, ბიზნესმენები საუბრობენ კოლეჯდამთავრებულთა არაადეკვატურ პრეტენზიებზე ანაზღაურებასთან (ხელფასთან) დაკავშირებით.

„ჩვენ მივმართეთ კოლეჯ „ჰორიზონტს“, იქიდან წამოვიყვანეთ მკერავები, მაგრამ არ გაამართლეს... საუკეთესოდ ითვლებოდნენ, მაგრამ არ გაამართლეს... თანაც, ხელფასი არ აკმაყოფილებდათ, პრეტენზიებს გამოთქვამდნენ, არადა, პატარა გოგონები არიან, სულ ჩქარობენ, გამოცდილება არ აქვთ... სულ არის პრობლემები და გვიჭირს კარგი კადრის მოძიება“ (მცირე ბიზნესის მფლობელი, სამკერვალოს მეპატრონე).

ამდენად, კადრების შერჩევისას ბიზნესმენები ზოგჯერ ითვალისწინებენ იმ ადამიანებს, რომლებსაც საქართველოში მიღებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი/სერტიფიკატი აქვთ, მაგრამ დამსაქმებლები მათზე ორიენტირებულნი არ არიან. არსებულ ვაკანსიებზე ხან მიზნობრივად, ხანაც კონკურსის წესით აჰყავთ ადამიანები. ბიზნესმენებს გამოცდილება უკარნახებს, რომ პროფესიული განათლების მიღება აპლიკანტებს განსაკუთრებულ უპირატესობას არ აძლევს; ამდენად, პროფესიული განათლება დასაქმებისთვის აუცილებელ წინაპირობად ვერ გამოდგება. შესაბამისად, ბიზნესმენები უფრო მეტად მისდევენ ასეთ პრაქტიკას: დროებით, გარკვეული ვადით, აჰყავთ ადამიანები, აკვირდებიან ახალმოსულებს, რომლებიც ადგილზე მუშაობის პროცესში იძენენ გამოცდილებას და ავლენენ სათანადო უნარ-ჩვევებს, მზაობას მათ გასაუმჯობესებლად ან ახალი უნარ-ჩვევების შესაძენად. გამოცდილება ხელს უწყობს დამქირავებელს, უკეთ განსაზღვროს, ვინ დატოვოს სამსახურში და ვინ გაუშვას.

„კონკურსს ვაცხადებთ და ვირჩევთ კადრებს; მერე ვაკვირდებით, ვინ ჯობია პრაქტიკაში და ვცხრილავთ; უკეთესს ვარჩევთ ცუდებს შორის“ (საშუალო ბიზნესის მეპატრონე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში).

ბიზნესმენები ასახელებენ მიზეზებს, თუ რა იწვევს კვალიფიციური კადრის დეფიციტს:

1. პროფესიული სასწავლებლების პედაგოგების მომზადების დაბალი დონე. პედაგოგთა კორპუსი არ ფლობს სიღრმისეულ და თანამედროვე ცოდნას, არ ცდილობს ცოდნის განახლებას ახალი მიღწევებით; პირიქით, თავად საჭიროებს საფუძვლიან გადამზადებას. თუმცა, დიდ ნაწილს არც გადამზადების მოტივაცია აქვს და არც საამისო ინტელექტუალური რესურსი.

   „კოლეჯში ახალგაზრდა იმიტომ ვერ ისწავლის, რომ, ვინც ასწავლის, თავად ის არ არის თავისი საქმის პროფესიონალი. თავად პედაგოგებს არ აქვთ თანამედროვე ცოდნა, არ იციან უახლესი ტექნოლოგიები... მე მქონდა ასეთი შემთხვევა: ვიმგზავრე პროფესიონალ ბუღალტერთან და როცა ბუღალტერიის წარმოების ჩვენი სტილი გავაცანი, მითხრა, ეს არის ძველი ბერძნული ბუღალტერია, ამის გავლას ნორმალურ სასწავლებელში 5 წუთი სჭირდებაო. პედაგოგის ფუნქცია სწორედ ისაა, რომ სპეციალურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გასწავლოს და თანაც მუდმივად განაახლოს სწავლება. ეს ჩვენთან არ ხდება“ (დიდი ბიზნესის მეპატრონე ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).

2. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კოლეჯის მოსწავლეთა (სტუდენტთა) უმრავლესობის მოუმზადებლობა – აქ იგულისხმება როგორც უაღრესად მწირი ინტელექტუალური რესურსი, ისე არაადეკვატური მოტივაცია ცოდნის დასაუფლებლად.

   „კოლეჯში ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდების დეფიციტია. ცოდნისთვის მოტივაცია პრაქტიკულად არ აქვს არავის. გადავწყვიტე, კოლეჯიდან ამეყვანა ერთ-ერთი ახალგაზრდა, ბუღალტერიაზე სწავლობდა. ავიყვანე, ერთი კვირით გავუშვი ტრენინგებზე, პროექტში უნდა ჩამესვა. ტრეინინგზე წავიდა, „იგულავა“, პროექტშიც არ ჩაერთო... თვითონ ამ ბავშვებს არ აქვთ სწავლის სურვილი“ (ფერმერული მეურნეობის მეპატრონე ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).

3. ზოგიერთი ბიზნესმენის აზრით, პროფესიული კოლეჯი, თუნდაც კარგი, 2-3 წელიწადში ვერ გაზრდის კვალიფიციურ კადრს. კოლეჯში პრაქტიკულ პროფესიებს ასწავლიან და მათ სრულფასოვან დაუფლებას პრაქტიკული გამოცდილების მიღება სჭირდება.

   „2 და 3 წელიწადში ვერ მიიღებს [ადამიანი] კოლეჯში ისეთ განათლებას, რომ საქმის პროფესიონალი იყოს. ამას, განათლების და კითხვის გარდა, სჭირდება კიდევ პრაქტიკა, და ისეთი ადამიანი, რომელიც პრაქტიკაში თავიდანვე დაგეხმარება, მერე შენ თვითონაც ბევრ რაღაცას გააკეთებ... ყველაფერს სასწავლებელში ვერ მოგცემენ, შენ თვითონ პრაქტიკის საშუალებით უნდა აითვისო პროფესია“ (სამკერვალო სალონის მფლობელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში).

4. ფინანსური რესურსები, რომლებსაც სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ხარჯავენ პროფესიული განათლების განვითარებისთვის, არასწორად ნა-

წილდება, ანუ პრიორიტეტები სათანადოდ არ არის შერჩეული. მაგალითად, არ შეიძლება ფული დაიხარჯოს იმ პედაგოგთა ტრენინგებზე, რომლებსაც გადამზადებისთვის შესაბამისი მზაობა (არც ინტელექტუალური და არც ემოციური) არ აქვთ; ასევე, მიზანშეწონილი არაა, თანხა ჩაიდოს ისეთი სასწავლო პროგრამების მომზადებაში, რომელთა დაძლევა მოსწავლეთა არსებულ კონტინგენტს არ შეუძლია; აგრეთვე, არ შეიძლება სახელმწიფო ორიენტირებული იყოს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაოდენობაზე ხარისხის ნაცვლად, და ა.შ.

„დახარჯული ფულის ეფექტურობას არავინ ამოწმებს; დაიხარჯა ლარი, რა მივიღეთ აქედან? სახელმწიფოს დახარჯული თანხის ეფექტურობა უნდა აინტერესებდეს... მე რომ შემეძლოს, სახელმწიფო დონეზე, პირველ რიგში, დავთვლიდი, რა ფული იხარჯება, და ამ ფულის დახარჯვის მიმართულებას ვნახავდი... არ არის აუცილებელი, გამოუშვან 500 კოლეჯდამთავრებული, გამოუშვან 10 და ის 10 იყოს მომავალში წარმატებული“ (დიდი ბიზნესის მფლობელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).

5. საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია უმაღლესი განათლების დიპლომის კულტის (როგორც საბჭოთა პერიოდის პროდუქტის) გავლენა. ვისაც საბაზო (საშუალო) განათლების მეტ-ნაკლებად კარგი მაჩვენებლები აქვს, თითქმის ყველას უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა სურს. კარგი საბაზო განათლება და პროფესიული სასწავლებლისადმი ინტერესი, ფაქტობრივად, ერთმანეთს გამორიცხავს. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ პროფესიული სასწავლებელი მუშაობს კონტინგენტზე, რომელსაც ელემენტარული ცოდნა და უნარ-ჩვევები არ გააჩნია.

„ჩვენს რეალობაში ყველა მშობელს უნდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მის შვილს ჰქონდეს უმაღლესის დიპლომი; ეს მოთხოვნა იწყება მშობლებისგან; მაინტერესებს თუ არ მაინტერესებს, მინდა თუ არ მინდა, უნდა მქონდეს დიპლომი. რა ქნას პროფესიულმა სასწავლებელმა, ვინ რჩება ხელში?“ (სამკერვალო ატელიეს მფლობელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).

„ბევრი პრობლემაა, მათ შორის, მენტალიტეტის პრობლემა. პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულის ფასი თუ ღირებულება საქართველოში გაცილებით დაბალია, ვიდრე უმაღლესი განათლების დიპლომის მქონესი; დიდი დისბალანსია მათი აღიარების თვალსაზრისით... თუ პროფესიულში წახვედი, ნიშნავს, რომ არ შეიძლება იყო წარმატებული“ (სოციალური მეწარმე ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული კოლეჯის სტუდენტების დიდი ნაწილი კმაყოფილია სასწავლო პროცესის მიმდინარეობით და იმ შესაძლებლობებით, რომლებსაც უქმნის მათ პროფესიული სასწავლებელი, გამოიყო რამდენიმე პრობლემური საკითხი:

1. სწავლის დაწყებამდე პროფესიულ კოლეჯში რეგისტრირდება საკმაოდ ბევრი მსურველი სხვადასხვა მიმართულებაზე/სასწავლო პროგრამაზე. თუმცა, რესპონდენტთა თქმით, დარეგისტრირებული სტუდენტების უმეტესობას აქვს დაბალი მოტივაცია, დაეუფლოს არჩეულ სპეციალობას. შედეგად, ხშირ შემთხვევაში, ჯგუფიდან, რომელშიც ფორმალურად ირიცხება 20 სტუდენტი, ამა თუ იმ კურსს გადის მხოლოდ 7 ან 8. რესპონდენტთა თქმით, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კარგია, სასწავლებელში არის კომპიუტერები, მუდმივი ინტერნეტ-მომსახურება; სწორედ ეს ფაქ-

ტორებია, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სტუდენტისთვის, რადგან ის, ლექციაზე დასწრებისა და სწავლის ნაცვლად, კოლეჯში მიდის, რომ კომპიუტერითა და ინტერნეტით ისარგებლოს. სტუდენტების თქმით, ამ კუთხით, კოლეჯში დამოკიდებულება უნდა გამკაცრდეს. მართალია, სტუდენტები, რომლებიც არ ესწრებიან ლექციებს და ვერ ეუფლებიანცოდნას, შედეგსაც შესაბამისს იღებენ - საბოლოო გამოცდებსაც ვერ აბარებენ, მაგრამ ზერელე დამოკიდებულების მქონე სტუდენტები სხვებზე ახდენენ უარყოფით გავლენას და კიდევ უფრო ამყარებენ საზოგადოებაში გავრცელებულ ნეგატიურ სტერეოტიპებს.

„მე მინდა, გავიხსენო ის დღე, როდესაც ვაბარებდით გამოცდებს, რომ ჩავრიცხულიყავით კოლეჯში. გადაჭედილი იყო აუდიტორია. დღეს რომ ჩაიაროთ, ნახევარსაც ვერ ნახავთ. ზუსტად ასეთი ადამიანები განსაზღვრავენ კოლეჯის სახელს შემდგომში. ჩვენს კურსზე 19 სტუდენტიდან 7-8 ვიცნობთ ერთმანეთს; თუ გასაუბრებაა კოლეჯში, ან ექსკურსია იგეგმება, უამრავი ხალხი მოდის, თუ არადა, არც დადიან საერთოდ. ნეტავ, დიპლომს მაინც იღებდნენ, ზამთარში ინტერნეტის გამო დარბოდნენ, ეზარებოდათ სახლში ყოფნა, ახლა გამოცდებია უკვე და ამბობენ, რომ აღარ უნდათ“ (პროფესიული კოლეჯის სტუდენტი).

2. კვლევაში ჩართული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კოლეჯ „ჰორიზონტში“ არის რამდენიმე სასწავლო პროგრამა, რომლებზედაც ყველაზე დიდი მოთხოვნაა: ბუღალტერია, ჭრა-კერვა და მზარეულობა. სტუდენტთა აზრით, გურიის რეგიონში უკვე საკმაოდ ბევრი რესტორანი, სამკერვალო ფაბრიკა და სალონი ფუნქციონირებს, რომლებსაც შესაბამისი კადრები ჰყავს; შეიძლება ითქვას, რომ გურიის რეგიონში საკმაოდ ბევრია ზემოაღნიშნული პროფესიების მქონე ადამიანები. სწორედ ამიტომ საჭიროა ფიქრი სხვა დარგების განვითარებაზე, რომელთა მიმართაც დღესდღეობით დიდ ინტერესს არ იჩენენ, მაგრამ ისინი პერსპექტიულია. რეგიონს ახლაც ძალიან სჭირდება და მომავალში კიდევ უფრო დასჭირდება, მაგალითად, ვეტერინარის პროფესია. ასე რომ, აუცილებელია ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა პროფესიულ სასწავლებელში და მათი პოპულარიზაცია. სწორედ ამგვარი ახალი პროფესიების დაუფლებით შეიძლება წარმატების მიღწევა.

„მორგებული უნდა იყოს რეგიონის მოთხოვნილებებზე. ზოგიერთი ასეთი სპეციალობა კი არის, მაგრამ ავიღოთ, მაგალითად, მეცხოველეობა, ვეტერინარია. ახლა ჩვენთან ერთი ვეტერინარია სოფელში, 80 წელს მიღწეული, და შემცვლელი არავინ ჰყავს. ასეთი რაღაცების პოპულარიზაცია საჭიროა“ (პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებული).

3. კიდევ ერთი პრობლემა, რომლის შესახებაც კოლეჯ „ჰორიზონტის“ სტუდენტები საუბრობენ, არის სასწავლო კურსების ხანგრძლივობა და მათი წილი სასწავლო პროგრამაში. რესპონდენტები ყველაზე პრობლემურად მიიჩნევენ უცხო ენების შესწავლის საკითხს. როგორც თავად ამბობენ, დასაქმება ნებისმიერ პოზიციაზე ძალიან რთულია, თუ ერთი უცხო ენა მაინც არ იცი. სტუდენტები აღნიშნავენ იმასაც, რომ უცხო ენების ცოდნის დონე კოლეჯში ჩაბარებამდე, როგორც წესი, ძალიან დაბალია, რის გამოც შესწავლას იწყებენ A1 დონიდან, რაც გულისხმობს ასო-ბგერების სწავლას, კითხვასა და ელემენტარულ წერას. უცხო ენის კურსების ხანგრძლივობა, საშუალოდ, 6 თვეა; ეს დრო კი ნამდვილად არ არის საკმარისი უცხო ენის საშუალო დონეზე შესასწავლადაც

კი. აღნიშნული საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერია, სტუდენტების აზრით, და მკვეთრად უარყოფით როლს თამაშობს სამსახურის ძიების პროცესში.

„ენის ბარიერი გვაქვს, ვგულიხმობ უცხო ენას. საწყისიდან კი ვსწავლობთ, მაგრამ 5 თვეში ინგლისურს ვერ ისწავლი საფუძვლიანად. ორი ენა აუცილებელია, ერთ-ერთი მაინც, რომელიც კარგად უნდა იცოდე. საქართველოში იმდენი ტურისტია, ეს აუცილებელია“ (პროფესიული კოლეჯის სტუდენტი).

4. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა სტუდენტებისთვის უკავშირდება დასაქმებას. როგორც ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, მათ სამსახურს სთავაზობენ პროფესიულ კოლეჯში; დამსაქმებლები, ძირითადად, არიან რესტორნების, სალონების, სასტუმროების წარმომადგენლები; თუმცა, სტუდენტების თქმით, აღნიშნული წინადადება ეხება ორგანიზაციის ყველაზე ქვედა რგოლებში, არაკვალიფიციურ („შავ“) სამუშაოზე, დასაქმებას; შესაბამისად, ანაზღაურებაც საკმაოდ დაბალია, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, სტუდენტები შეთავაზებაზე უარს ამბობენ. როგორც თავად აღნიშნავენ, ეს არ არის გამოწვეული ამბიციურობით; სტუდენტების უმეტესობა არ თაკილობს დაბალ პოზიციაზე მუშაობას; უბრალოდ, მათ მიერ გაწეული საბაზისო ხარჯები (მგზავრობაზე, კვებაზე) უფრო მეტია, ვიდრე თვის ბოლოს აღებული ხელფასი. მონაწილეები აქვე აღნიშნავენ იმასაც, რომ ინტერნეტით მოძიებულ ვაკანსიებზე განაცხადს, ფაქტობრივად, ვერ აკეთებენ, რადგან დამსაქმებლები, ძირითადად, ითხოვენ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს; შესაბამისად, კოლეჯის კურსდამთავრებულები რჩებიან ადგილობრივი ბიზნესის მხრიდან შემოთავაზებული დაბალანაზღაურებადი სამსახურების ამარა, რომლებზედაც, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, უარის თქმა უწევთ. ასე ექცევიან კოლეჯის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩაკეტილ წრეში, რომელიც მათ მოტივაციას უკარგავს, ხდის ინდიფერენტულს და უქმნის უპერსპექტივობის განცდას. ამის გამო, ზოგჯერ ისინი უარს ამბობენ მცდელობაზეც კი, რომ სამსახური მოძებნონ.

„ბევრი პრობლემაა. შეიძლება სათანადო ანაზღაურება არ იყოს და არ გვიღირდეს, ან დრო ვერ შევუთავსოთ. მაგალითად, ღამით მე ვერ ვიმუშავებ, ამ დროს ტრანსპორტიც არ დადის. თანაც, ჩვენ სოფლიდან დავდივართ, ძირითადად“ (პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებული).

„შეიძლება დასაქმდე უფრო ადვილად [ვიდრე უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ], მაგრამ უფრო დაბალი ანაზღაურება გაქვს, როცა პროფესიულის დიპლომით იწყებ მუშაობას“ (პროფესიული კოლეჯის სტუდენტი).

„ინტერნეტით რომ ვეძებდი, ყველგან ითხოვდნენ უმაღლესი განათლების დიპლომს და პროფესიული არსად არ იყო მოთხოვნილი. მერე აღარც მიძებნია, აზრი არ აქვს“ (პროფესიული კოლეჯის სტუდენტი).

5. სტუდენტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ კოლეჯში არ არის ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მაშინ, როცა, სტუდენტების აზრით, პროფესიული განათლება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა – მათ საშუალება ეძლევათ, დაეუფლონ პროფესიას და დასაქმდნენ.

„პანდუსი არ არის, გარემო არ არის ადაპტირებული; შესაბამისად, არც აბარებენ აქ შშმ პირები, რაც ძალიან ცუდია“ (პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი).

თავი 4

რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს ინტერვენციები პროფესიული განათლების სისტემაში/პოლიტიკაში?

გურიის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების წარმომადგენლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ პროფესიული განათლების პოლიტიკა მოითხოვს ჩარევას რამდენიმე მიმართულებით:

1. პროგრამები უფრო მეტად უნდა მოერგოს რეალობას, ანუ უნდა უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. არსებობს პროფესიები, რომლებზედაც მოთხოვნა დიდია, მაგრამ კოლეჯი შესაბამის სპეციალისტებს არ ამზადებს (ასეთია, მაგალითად, ვეტერინარი, ე.ნ. სპეციალური ტექნიკის ოპერატორი და სხვ.).

   „პროგრამები უფრო შესაფერისი უნდა იყოს, უფრო დახვეწილი, უფრო მორგებული რეალობას და საჭიროებებს... ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, იძულებულნი არიან, სამტრედიიდან ჩამოიყვანონ და ორმაგი თანხა გადაუხადონ ისეთი პროფესიის ადამიანებს, როგორიცაა, მაგალითად, სპეციალური ტექნიკის ოპერატორი... გამოიკვეთა, რომ გარკვეული სპეციალობების დეფიციტია“ (ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის სპეციალისტი).

2. თვით ის სასწავლო პროგრამებიც კი, რომლებიც არსებობს კოლეჯ „ჰორიზონტში“ და რომლებზე მოთხოვნაც დიდია, საჭიროებს ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ფაქტია, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები არ არიან და პროფესიული განათლების დიპლომი არ უზრუნველყოფს მათ უპირატესობას.

   „კოლეჯი ამზადებს მზარეულებს, მაგრამ მათ არ აქვთ ის ხარისხი, რომელიც კონკურენციას გაუწევს სხვებს. მაგალითად, ჩვენს რეგიონში გაიხსნა „პარაგრაფი“, რომელიც იძლევა დასაქმების კარგ საშუალებას, მაგრამ „ჰორიზონტის“ კურსდამთავრებულები იქ მხოლოდ ძალიან დაბალ პოზიციებზე მუშაობენ“ (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).

   „იყო ასეთი პროექტი – უფასო ხვნა-თესვის. იქ იყო მოთხოვნა მექანიზატორზე. აღმოჩნდა, რომ აქაც პრობლემა ყოფილა: ჯერ ერთი, საკმარისი რაოდენობის დიპლომირებული მექანიზატორები ვერ მოიძებნა (არადა, მექანიზატორობა ისწავლება კოლეჯში) – შესაბამისი კვალიფიკაციის დოკუმენტაცია 350 კაციდან მხოლოდ 15-მა წარმოადგინა. თანაც, მონიტორინგი რომ ჩატარდა და

მათ მიერ [დიპლომიანების] დახნული მიწა ვნახეთ, დავრწმუნდით, რომ საქმე საკმაოდ უხარისხოდ იყო გაკეთებული“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).

3. გურიის რეგიონში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელია („ჰორიზონტი“) – ოზურგეთში, რაც დანარჩენი მუნიციპალიტეტების ახალგაზრდებს უზღუდავს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას. ადამიანებს უჭირთ სხვა მუნიციპალიტეტში სიარული და განათლებას ვერ იღებენ. ამდენად, საჭიროა რეგიონში პროფესიული სასწავლებლების ქსელის გაფართოება.

„ჩვენ პროფესიის დეფიციტს კი არ განვიცდით, ჩვენ სასწავლებლის დეფიციტს განვიცდით. ლანჩხუთს არ აქვს პროფესიული სასწავლებელი, მაშინ, როცა აქ რამდენიმე ათეული წლის წინ არაჩვეულებრივი სასწავლებელი იყო თავისი საცხოვრებელი კორპუსით. იმისთვის დავთანხმდი დეპუტატობას, რომ ამ საკითხზე განათლების სამინისტროში მოთხოვნა გამეგზავნა“ (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი).

ადგილობრივი ხელისუფლების და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების წარმომადგენლები საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეუწყობს ხელს პროფესიული განათლების განვითარებას:

1. დამსაქმებელი უნდა იყოს ვალდებული, რომ ისეთი კადრი მიიღოს, რომელიც სერტიფიცირებულია, ანუ ისინი, ვისაც აქვს პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი/სერტიფიკატი. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფო შესყიდვებს – საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული უნდა იყოს, რომ სერტიფიცირებული მუშახელის აყვანა (თუნდაც გარკვეული პროცენტული რაოდენობის) აუცილებელია.

„მანამ, სანამ შრომით ბაზარზე არ გაჩნდება მოთხოვნა, რომ დამსაქმებელმა სერტიფიკატის მქონე კადრი აიყვანოს, პროფესიული განათლების პრესტიჟი არ მოიმატებს. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებლის სტატუსიც დაფასდება და კოლეჯებსაც არ ექნებათ მიღების პრობლემა“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი).

მეორე მხრივ, დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ სერტიფიცირებული კადრის დასაქმების ვალდებულების პრაქტიკა მთლად უცხო არ არის საქართველოს რეალობისთვის – არსებობს პროფესიული კოლეჯები, რომელთა კურსდამთავრებულებზე, გარკვეული პროფესიების ფარგლებში, დიდი მოთხოვნაა (მაგალითად, ასეთ კოლეჯად დასახელდა „იკაროსი“).

„ჩემს ახლობლებს აქვთ შარდენზე არაჩვეულებრივი სასტუმრო, რომ ვთხოვე [ერთზე], დამისაქმე დამლაგებლად-მეთქი, უარი მითხრეს. რატომ? იმიტომ რომ დამსაქმებელი მთელ პარამეტრებს ჩამოთვლის; „იკაროსს“ აქვს სპეციალური განხრა და მისი კურსდამთავრებული აკმაყოფილებს ამ პარამეტრებს; ამიხსნა და ბოდიში მომიხადა. [ამ კოლეჯის] სერტიფიცირებული კადრი უნდათ, ბევრგან ითხოვენ“ (ჩოხატაურის მუნიპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი სპეციალისტი).

„მაგალითად, ზეინკალ-შემდუღებელი სჭირდებოდა ერთ-ერთ ჩინურ კომპანიას; არ მოინახა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში და ჩამოიყვანეს ფოთიდან სპეციალისტი, რომელსაც გამოცდილებაც ჰქონდა და სერტიფიკატიც“ (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი).

2. პროფესიულ სასწავლებლებზე მოთხოვნას გაზრდის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე ბარიერის (მინიმალური ზღვრის) აწევა. ასეთ შემთხვევაში, გამოთავისუფლდება ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რის ხარჯზეც გაიზრდება პროფესიული სასწავლებლების კონტინგენტი. უმაღლესი განათლების მიღების გზის მიზნობრივად გართულება იქნება საქართველოში დიპლომის კულტის მავნე გავლენის პრევენციის საშუალება, რაც სასიკეთოდ აისახება პროფესიული განათლების მიმართ მოთხოვნაზე.

„სანამ უმაღლესი სასწავლებლების ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარიერი უფრო მაღალი არ იქნება, მანამდე პროფესიულ სასწავლებელს არ ეშველება. ჩვენი ქართველი მშობლის მენტალიტეტი ისეთია, არავის არ უნდა, რომ მისი შვილი პროფესიულ სასწავლებელში იყოს. ყველას უმაღლესი [განათლება] უნდა. ბარიერის აწევა ამ სწრაფვას „ზემოდან“ შეაჩერებდა (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი სპეციალისტი).

3. აუცილებელია, რომ გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში არსებობდეს პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც ახალგაზრდობას სპეციალობებს და სასწავლო პროგრამებს შესთავაზებენ სწორედ კონკრეტული მუნიციპალიტეტის საჭიროებების შესაბამისად; ხოლო ეს საჭიროებები, თავის მხრივ, გამოვლენილი იქნება შრომის ბაზრის კვალიფიციური შესწავლის (კვლევის) საფუძველზე. შრომის ბაზრის შესწავლა ინტენსიურად (ყოველწლიურად) უნდა განხორციელდეს, რადგან საჭიროებები იცვლება და ის, რაც ერთ წელს აქტუალურია, სხვა დროს შეიძლება ასეთი აღარ იყოს; მეორე მხრივ, საჭირო პროფესიების მფლობელებს დასაქმების გაცილებით უკეთესი შანსი ექნებათ.

„სამივე რაიონში ცალ-ცალკე უნდა იყოს [პროფესიული] სასწავლებლები. ეს აუცილებელი პირობაა და იმ პროფესიებს ვასწავლიდი, რომლებიც რეგიონს სჭირდება. ამოცანა იქნებოდა არა მოდური პროფესიების შეტანა, არამედ რაიონის საჭიროების მიხედვით მათი შერჩევა, რაც დასაქმების გარანტიაც იქნებოდა. ეს უნდა გაკეთდეს შრომის ბაზრის შესწავლის შემდეგ...“ (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი სპეციალისტი).

4. პროფესიულ სასწავლებლებს უნდა მიეცეთ კომერციული საქმიანობის წარმოების უფლება. კერძოდ, მათ უნდა შეეძლოთ იმ ადამიანთა სასწავლო ჯგუფების გახსნა, რომლებიც მუშაობენ, თუმცა სურთ, რომ დასაქმების პარალელურად (უქმე დღეებში ან სამუშაო საათების დასრულების შემდეგ) დაეუფლონ ამა თუ იმ პროფესიას და ამისათვის განსაზღვრული ფინანსები გაიღონ. გარდა ამისა, პროფესიულ კოლეჯებს თავად უნდა შეეძლოთ გარკვეული მარკეტინგული პროდუქტის დამზადება/წარმოება და გაყიდვა (მაგალითად, სუვენირების).

„პირადად მე დაინტერესებული ვარ ტიხრული მინანქრით. მინდა, შევისწავლო ეს სპეციალობა, გადავიხდიდი თანხას, თუ მასწავლიდნენ. საამქრო ექნება სასწავლებელს. იქ თავად დაამზადებენ და გაყიდიან, მოგებასაც მიიღებენ. სუვენირების დიდი დეფიციტია; არადა, ტურისტების მხრიდან მათზე მოთხოვნაა; ფაქტობრივად, არ არსებობს ის, რაც მხოლოდ გურულია, რაც შეიძლება ადგილზე შეიქმნას და გაიყიდოს...“ (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი).

5. პროფესიული კოლეჯის ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს ისე, რომ იქ სწავლა შეძლონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა. მათ შორის არიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც გარკვეულ უნარ-ჩვევებს ფლობენ და მათი რეალიზება შესაძლებელია რომელიმე პროფესიაში.

„შშმ ბავშვები ვერ დაჰყავთ სასწავლებელში და ისინი რჩებიან სპეციალობის გარეშე. არადა, არიან ნიჭიერები, გარკვეული ხელობისკენ მიდრეკილნი... ეს პრობლემა ნაწილობრივ მაინც თუ გადაიჭრება, შშმ პირები სპეციალისტებად რომ გაიზრდებიან, საწარმოებშიც დასაქმდებიან, საზოგადოებაში მათი ინტეგრირება მოხდება“ (მშობელი).

6. პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური ქსელი უნდა გაფართოვდეს და მოიცვას სოფლებიც. სოფლებში საბჭოთა მემკვიდრეობიდან შემორჩენილი ბევრი უფუნქციო შენობაა, რომლებიც დღემდე ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. შესაძლებელია ამ შენობების რეაბილიტაცია და პრაქტიკის სწავლების კერებად გადაქცევა. ეს ბევრ ახალგაზრდას, რომლებიც სოფლებში ცხოვრობენ, მისცემს შესაძლებლობას, რომ სწავლის გარკვეული პერიოდი თავიანთ საცხოვრებელ ადგილას გაატარონ. მეტიც: სასწავლებლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ინფრასტრუქტურული ობიექტების გამოყენება საკუთარი ბიზნესის წარმართვისთვის. ასეთი ინტერვენცია, თავის მხრივ, შეაჩერებს მიგრაციულ პროცესს და სოფლების დაცარიელებას.

„გურიის სოფლებში უამრავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობაა, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. ისინი დღითი დღე უფრო ფუჭდება და ინგრევა. რაიონის ხელმძღვანელობამ უნდა მოითხოვოს ამ შენობების რეაბილიტაცია და გაარღვიოს ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილი ეს ბიუროკრატიული წრე. დღეს ისე გამოდის, თითქოს სამინისტროს აწყობს, რომ [შენობა-ნაგებობები] დაინგრეს და არ ისარგებლოს არავინ. გადავცეთ ეს ინფრასტრუქტურა სოფლებს და ისინი გახსნიან, მაგალითად, სამკერვალოს, სალონს, პურის საცხობს... დასაქმდება ხალხი, არ იქნება მიგრაცია“ (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი).

ოზურგეთის რაიონში მოღვაწე ბიზნესმენების ფოკუს-ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების სისტემაში ბიზნესის მონაწილეობის ხარისხი. ეს ორი სფერო ერთმანეთს უნდა კვეთდეს. ეს სხვადასხვანაირად გამოიხატება: ა) სასწავლო პროგრამების დანერგვა და ამ პროგრამებზე მიღება დამოკიდებული უნდა იყოს შრომის ბაზრის საფუძვლიან შესწავ-

ლაზე; ბ) სწავლების პროცესში უფრო მეტად უნდა ჩაერთონ პრაქტიკოსი ბიზნესმენები; ეს გულისხმობს როგორც საწარმოო პრაქტიკის წილის გაზრდას, ისე პედაგოგებად ბიზნესმენების მოწვევას.

> *„პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნას უნდა ქმნიდეს ბიზნესი; ბიზნესმა უნდა განსაზღვროს, მას რა სპეციალისტები სჭირდება, რომელთათვისაც არ არის სავალდებულო უმაღლესი განათლება... შრომის ბაზარი უნდა იყოს შესწავლილი და ამის შემდეგ უნდა დაიგეგმოს სასწავლო პროგრამები კოლეჯში. აუცილებლად უნდა იყოს ნდობის ხარისხი [ბიზნესსა და პროფესიულ კოლეჯებს შორის]; როცა ეს არ არის, კოლეჯი უშვებს კადრს, რომელსაც ბიზნესმენი არ ენდობა, რადგან ამ კადრს კიდევ გადამზადება სჭირდება. ბიზნესი უფრო მეტად უნდა ჩაერთოს სწავლაში. სახელმწიფოს ნაკლებად სჭირდება ეს ხალხი, უფრო ბიზნესმენებს სჭირდებათ“ (დიდი ბიზნესის მფლობელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).*

> *„რაც შეეხება დასაქმებას, მე პირადად, ორი ადმინისტრატორი კოლეჯიდან მყავს მოყვანილი და გამომადგა. არ ვიცოდით, თეთრეული როგორ უნდა გარეცხილიყო, პირსახოცი როგორი უნდა ყოფილიყო, იმათ კი ეს იცოდნენ; შეიძლება თეორიულად იცოდნენ და პრაქტიკა ჩემთან მიიღეს? არა, კოლეჯშიც გაიარეს ეს“ (საოჯახო სასტუმროს მფლობელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან).*

თავიანთი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ, პირველ რიგში, რა უნდა გაკეთდეს პროფესიული განათლების ამჟამინდელი მდგომარეობის გასაჯანსაღებლად, გამოთქვეს კოლეჯ „ჰორიზონტის“ პედაგოგებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა:

1. მათი აზრით, კოლეჯის მოსწავლეთა საწარმოო (გარე) პრაქტიკის კომპონენტს სჭირდება ხელშეწყობა და გაძლიერება; კერძოდ, პრაქტიკის ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ გარკვეული ბენეფიტები. ეს შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა რამეში: ა) ადგილებზე პრაქტიკის კოორდინატორებს მიეცეთ დამატებითი ანაზღაურება; ბ) ორგანიზაციებს აუნაზღაურდეთ დახარჯული მატერიალური რესურსების საფასური; გ) პრაქტიკის ორგანიზაციებს დაუწესდეს საგადასახადო შეღავათები და ა.შ.

> *„უნდა იყოს მეწარმეების დაინტერესება სახელმწიფოსგან, გარკვეული შეღავათებია საჭირო. საწარმოო პრაქტიკა არის დაკვირვების პროცესი და ამ მეწარმეებს რაიმე სახის შეღავათები უნდა ჰქონდეთ, ან წახალისება. სტილისტები რომ მიდიან პრაქტიკაზე, იქ წყალი იხარჯება, შუქი. ეს ყველაფერი ხომ ხარჯია?“ („ჰორიზონტის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელი).*

2. გარე (საწარმოო) პრაქტიკის კომპონენტი სასწავლო კურიკულუმში მოითხოვს უფრო მეტად დახვეწას და ჩამოყალიბებას. ამ კომპონენტს უნდა ჰქონდეს თავისი სილაბუსი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, რას აკეთებს კოლეჯის მოსწავლე ადგილზე, რა უფლებები და მოვალეობები აქვს, რა შედეგს უნდა მიაღწიოს და ა.შ.

„უნდა იყოს გაწერილი პრაქტიკული საქმიანობები. ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, მასაც შეაჭრევინებენ თმას, თუ მხოლოდ დამკვირვებელი იქნება... რესტორანში პრაქტიკა ისე შეიძლება გაიაროს მოსწავლემ, რომ სამზარეულოში არ შეუშვან. არადა, მას სხვა მოლოდინი აქვს. როდესაც ყველაფერი წინასწარ გაიწერება, ეს მოხსნის გაურკვევლობას და იმედგაცრუებულიც არავინ დარჩება“ („ჰორიზონტის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აზრით, მნიშვნელოვანია, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესწავლილ და გამოვლენილ იქნეს საჭიროება ახალი სპეციალობებისა, რომლებიც მორგებული იქნება უშუალოდ გურიის რეგიონის საჭიროებებზე. სტუდენტების აზრით, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, დასაქმდნენ იმ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში, რომელშიც ცხოვრობენ. თუ კოლეჯი ამ გამოწვევას უპასუხებს და დანერგავს ახალ სასწავლო მიმართულებებს, ეს კიდევ ერთი დამატებითი სტიმული იქნება ახალგაზრდებისთვის, აირჩიონ პროფესიული განათლება.

2. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კოლეჯში უცხო ენების შესწავლას და, ამ მხრივ, უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამების რევიზია. იქიდან გამომდინარე, რომ უცხო ენების ცოდნას თითქმის ყველა დამსაქმებელი ითხოვს, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია, პროფესიის დაუფლებასთან ერთად, შეძლონ იმ აუცილებელი კომპეტენციების – ამ შემთხვევაში, უცხო ენების ცოდნის – ფლობა, რომლებიც პროფესიულ საქმიანობაში მათი მომავალი წარმატების საწინდარი იქნება.

3. ფოკუს-ჯგუფების მონაწილე სტუდენტები მიიჩნევენ, რომ დამოკიდებულებების შესაცვლელად მნიშვნელოვანია, პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციამ მკაცრად გააკონტროლოს სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დასწრება; გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სახდელები გახდეს უფრო ქმედითი, რათა სასწავლებელი საზოგადოების მიერ არ აღიქმებოდეს იმ ახალგაზრდების თავშესაფრად, რომლებიც კოლეჯში მხოლოდ ინტერნეტისა და კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობის არსებობის გამო აბარებენ.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს მთავრობა (2013). პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)
   ნანახია: 24 ივლისი, 2018
   http://vet.ge/wp-content/uploads/2013/10/2013-2020strateg.pdf

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი (2014). საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი შრომის ბაზარზე. კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი. თბილისი
   ნანახია: 28 ივლისი, 2018
   http://mes.gov.ge/uploads/tracer%20study_raport%20geo.pdf

3. ACT UNDP-ისთვის (2015). დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ. თბილისი

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხოვნობა, რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
   ნანახია: 24 ივლისი, 2018
   http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2101&lang=geo

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტუდენტების რიცხოვნობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
   ნანახია: 24 ივლისი, 2018
   http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2101&lang=geo

6. პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ (2015). სტრატეგიული განვითარების გეგმა
7. პროფესიული განათლების სტატისტიკური ბიულეტენი (2016)
   ნანახია: 28 ივლისი, 2018
   http://mes.gov.ge/uploads/statistikuri%20biuleteni2013-2015.pdf

RESEARCH ON ATTITUDES TOWARDS VOCATIONAL EDUCATION (EXAMPLE OF GURIA REGION)

Focus Group Research Report
Short Review

In the fall of 2018, LEPL “Young Pedagogues’ Union” conducted research to study the attitudes towards vocational education, using the Guria region as a proxy.

The goal of the research was to study the attitudes of different target groups of the population, as well as representatives of various institutions from the region of Guria (public school, vocational school, and municipal authorities) towards vocational schools and vocational education.

Qualitative social research has been carried out using focus-group method.

Within the framework of the research, a total of 16 focus groups have been held with the following target groups: Guria region public schools students, students’ parents, teachers, vocational school students (from different disciplines) and graduates, vocational school teachers, representatives of private business sector, and representatives of the three municipalities of Guria: Education, Youth and Social Security Service, and Educational Resource Centers.

MAIN FINDINGS OF THE STUDY

1. Information about the municipality vocational school (“Horizon”) is mostly being spread informally. The greatest marketing value for the university appears to be the experience and assessments of people who are studying at “Horizon”. These students are able to communicate on behalf of the college and involve their circle of friends in the conversation.

2. The vocational school’s administration seeks to use formal ways of marketing, including: local TV advertisements, printed booklets and flyers; open door days are also held for people involved. The administration of “Horizon”, teachers, and students promote the school in different public spaces.

3. Information about “Horizon” college is also disseminated in schools; this does not appear to be a consequence of teachers, form-masters, administration and resource centers representatives, but due to the addition of a new training course where students can get information about the professions that are taught in “Horizon”.

4. The attitude of the vocational school teachers and the administration is positive. They believe that vocational education is popular today, which, in their view, is due to a number of factors: high rate of employment of the vocational school graduates, the external (manufacturing) practices component, cooperation with local business representatives, regulated material-technical base, and highly qualified teachers.

5. On the other hand, according to the students of public schools, school teachers, and vocational school ("Horizon") students vocational education lacks public popularity due to several reasons: a) Inertia of past (Soviet) experiences, when it was considered that only unsuccessful young people continue their education in vocational schools, and so is now: mostly students with low academic degrees are recommended to continue their education in vocational schools. b) Possessing a diploma certifying higher education is still essential for the public, particularly the primary groups (family, close relatives, etc.); the latter is a necessary condition for legitimate socialization; c) Vocational education for school teachers and parents is still considered secondary and is only an additional (not major) employment.

6. Problems and challenges related to getting the vocational education and the functioning of "Horizon" college have been defined as the following:
   - Basic knowledge level of the students entering the vocational school "Horizon" is very low (knowledge is primarily based on their secondary education). Consequently, it is difficult for them to master the material provided by different courses. Vocational school graduates are unprotected in the labor market: their remuneration is mainly low; moreover, they often represent free employees, since employers are trying to use them as an intern for an indefinite period.
   - The issue of teachers' labor rights is also considered a main factor. Teachers of vocational education actually do not have a teacher status. Therefore, their labor agreement annually covers the duration of the study program. They do not have the possibility of institutional growth by entering the career scheme and passing the relevant certification exams. This will negatively impact teachers' motivation and their professional development.
   - Vocational education colleges do not have a secondary education component. Those students who go to vocational schools after graduating IX grade cannot get general education and relevant certificates, which, in turn, deprives them of a chance of getting higher education in the future.
   - The transition to the so called "modular" studying further restricts the possibility of entering labor market for vocational school graduates. Due to the vacancies, there is no possibility to employ people with narrow specialization. Qualifications of job seekers should be flexible to suit different requirements and, therefore, increase the chance of employment.
   - Vocational college graduates are unprotected in the labor market since employers are not obliged to employ people having vocational diplomas. Lobbying and nepotism are also involved in the practice of recruitment, which makes graduates even more vulnerable.
   - Vocational College "Horizon" does not provide enough attention to: a) introduction of new specialties, which, on the one hand, meets the needs of the Guria region, and, on the other hand, increases the employment opportunities;

b) foreign languages instruction, which would help overcome barriers to the employment of graduates in the labor market.

7. Businessmen believe that the vocational school “Horizon” cannot prepare professional staff. The reasons for this is considered the following:
   - Lack of qualification and motivation of vocational education teachers to update knowledge based on new research and practices;
   - Limited intellectual resources and skills of vocational school students;
   - Irrational distribution of solid financial resources provided by the state and international donors for vocational education: preparing a training program for the teachers who do not possess the relevant training; preparation of training programs that cannot be mastered by the current students; guidance by the number of vocational education graduates and not the quality.
   - Inadequate participation rate of training component in educational programs.

8. Considering that college education is free, students of vocational education think that some students are not properly motivated. They believe students are not attending lectures and often use vocational education for computer and internet use purposes only. Due to their negative attitudes, the negative stigma of vocational education that the school cannot provide adequate discipline and qualified knowledge is further strengthened.

9. There is only one vocational school (“Horizon”) in Guria region in Ozurgeti, restricting youth from the rest of the municipality from getting a vocational education.

10. The environment in “Horizon” is not adapted to persons with disabilities, which is why people with disabilities cannot participate in a vocational education.

MAIN RECOMMENDATIONS

1. In regard to marketing and promoting vocational education for school teachers, parents, and students, it is essential to implement the following activities:

- Field experts should plan meetings and presentations on the perspectives and advantages of vocational education.
- Vocational institutions should hold open door sessions for schools before starting of semester, when schools have the opportunity to provide details on the important information for the attendees.
- Vocational institutions should organize study weeks for interested students according to various teaching modules, within which meetings will be held with successful graduates, teachers, and the representatives of the business sector.

2. It is important to elaborate the practical and conceptual approach of school and vocational institution in terms of developing business practice skills of youth, as they will be able to get interest from students with cooperation and developing common strategy.

3. To increase access to vocational education, it is necessary to allocate transportation from Lanchkhuti and Chokhatauri, based on the agreement with the relevant governmental bodies, which will allow students of the vocational institution travel for free.

4. Administration of a vocational institution should ensure control over attendance of the students and other disciplinary matters; internal regulations should be modified or further developed to establish certain frameworks of rule violations.

5. Teaching programmes of a vocational college should respond to the requirements of labour market. Consequently, programmes should focus on professions that are highly demanded in the region. Additionally, relevant research should reveal and support any change in demand of particular profession on a labour market.

6. Teaching quality of the professions in the vocational college, especially on highly demanded professions (accounting, tailoring, cooking, etc.) should be increased, so college prepares competitive specialists for a labour market. This should be done in different ways: a) level of difficulty of the teaching courses should comply with the intellectual abilities of the students; b) teaching materials, which are translated from foreign sources, should be adapted; c) the teachers should undergo intensive training more in terms of thematic (essential) topics, rather than teaching methodology; etc.

7. It is important to review directions and programmes of high schools in order to define its relevance with the academic and scientific fields. It is recommended to

teach certain specialties in the vocational institutions instead of high schools that will increase prestige of and demand for vocational education.

8. Pedagogues of vocational college should be given a status of teachers, that will allow them to: a) involve in scheme of professional development; b) increase category through certification; c) reinforce their labour rights with more long-term agreements, which will not coincide with longevity of a course; d) use various benefits of employed teachers (for example, vacation, etc.).

9. Complete secondary education component should be also added to vocational college for those who enter the college with ninth grade education. This will give an opportunity to the graduates to get higher education.

10. As “modular” teaching has been established and approved for several years now, informational meetings should be held with the college administration and teachers about advisability and importance of so called “modular” teaching method, so they have more information on the positive results that this approach might bring.

11. Employers should be obliged to employ a certified professional, who has diploma/certificate on having professional education. Government benefits should be considered as an incentive.

12. It is necessary to increase barrier of minimal competency margin on the national exams. This will increase demand for the vocational institutions, as it releases significant number of youth that will increase potential contingent of the professional institutions, and subsequently, competition. This will have positive influence on quality of employed staff. Also, this kind of intervention will prevent negative influence of exiting cult of diploma in Georgia.

13. The vocational institutions should be granted the right to conduct commercial activity; particularly, they should be allowed, on the one hand, instead of fee prepare persons, who individually have a desire to get certain profession, while on the other hand, prepare/production and sale of particular marketing product.

14. Infrastructure of a vocational college should be arranged in a way, so the persons with limited abilities can study there, and have an opportunity to realise themselves with their talent and skills.

15. Infrastructure network of vocational institutions should expand and cover other municipalities of Guria, and also, villages; non-functional buildings remained in the villages from the Soviet period should be rehabilitated into hubs of practice learning. This will give an opportunity to many students living in villages to spend certain period of time in their home, and after finishing their education establish their own business activities. This will prevent the migration process and village depopulation.

16. Participation of business in vocation education system should be improved. More businessmen should be involved in the teaching process.

17. Production (external) practice component of vocational college should be improved; namely, practice organizations should be given certain benefits: a) practice coordinators should be given additional compensation; b) organizations should be compensated value of spent material resources; c) practice organizations should be given some tax benefits.

18. More attention should be paid to teaching of foreign languages (especially, English and Russian), as almost all employers request knowledge of foreign languages. This will be guarantee for future success in professional growth for the graduates.

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. 3
ტელ: 7 64 34

თბილისი, ბარნოვის ქ. 84
ტელ: 555 689 896
ელ.ფოსტა: ypuozurgeti@yahoo.com

Young Pedagogues' Union

Ozurgeti, 3 Gabriel Episkoposi st.
Phone: 7 64 34

Tbilisi, 84 Barnovi st.
Phone: 555 689 896
E-mail: ypuozurgeti@yahoo.com

www.apk.ge
www.facebook.com/apk.ge